F 221
1929

# დროშა





**დიღომის სარწყავი არხის გახსნა**

ზევით—მიტინგი, ამხ. ფ. მახარაძე, შ. ელიავა და სხ. ტრიბუნაზე; ქვევით—წყალის გაშვება არხში, ამხ. ფილიპე მახარაძე ამბობს პირველ სიტყვას.



ამხ. **აროსევი** (მარჯვნივ), საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში, რესპუბლიკის პრეზიდენტ **მასარიკთან** (მარცხნივ) დარბაზობის დროს.



**იმ დროს, როდესაც პარიზში** მხოლოდ აპირებენ ავტომობილებისათვის სპეციალური უზარმაზარი გარაჟის მოწყობას, შეერთებულ შტატებში ასეთი გარაჟი უკვე მოწყობილია. ნიუ-იორკში აგებულია 27 სართულიანი გარაჟი. სამი ზედა სართული დათმობილია შოფერების საცხოვრებლად და რესტორანისათვის, დანარჩენი ოცდაოთხი კი—მანქანებისათვის. გარაჟი იტევს 1000 მსუბუქ და საბარგო ავტომობილს. გარაჟის სარდაფში მოწყობილია ავტო-სახელოსნოები. ავტომობილები სხვადასხვა სართულებში აჰყავთ სპეციალური ამწევი მანქანების საშუალებით.



**მიწის ქვეშა გარაჟი.** საავტომობილო მიმოსვლა უკანასკნელი წლების განმავლობაში არაჩვეულებრივად გაძლიერდა. ავტომობილების მიმოსვლის მოწესრიგებასთან ერთად არანაკლებ მწვავედ სდგას ავტომობილების შესანახი ადგილების საკითხი. საქმე იმაშია, რომ დიდ ქალაქებში ბინების დიდი სივიწროვეა და სპეციალური გარაჟების მოწყობა ძნელი საქმეა. ამიტომ პარიზის ქალაქის თვითმმართველობა შეუდგა მიწის ქვეშა გარაჟის მოწყობის გეგმის დამუშავებას. სურათზე—მომავალი მიწის ქვეშა გარაჟი პარიზში.



**ლოუდონი,** განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე, გაქნილი მელა-კუდა, რომელიც „თვლემდა", როცა იმპერიალისტები საბჭოთა პროექტების „უაზრობას" და „განუხორციელებლობას" ამტკიცებდნენ და მყის საკითხის „არსებითად განხილვის" სადარაჯოზე დგებოდა, როცა ამხ. ლიტვინოვი ამხილებდა იმპერიალისტების ფარისევლობას და მატყუარობას.



**პირველი საბჭოთა ლითონის აეროპლანი.** უკანასკნელ დრომდე საბჭოთა სამოქალაქო ავიაცია უცხოეთის კონსტრუქციის აეროპლანებით სარგებლობდა. მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის—პირველ მაისის—დღეს მოსკოვის მშრომელები გახდნენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტეხნიკის ახალი გამარჯვების მოწამე: მათ ამ დღეს უჩვენეს პირველი საბჭოთა ლითონის სამ მოტორიანი აეროპლანი, აგებული ცენტრალურ აერო-ჰიდრო-დინამიურ ინსტიტუტის („ცაგის") მუშაკების ძალებით, სულ $4^1/_2$ თვის განმავლობაში. აეროპლანი იტევს ცხრა მგზავრს. მისი თითეული მოტორის ძალოვნობა 230 ცხ. ძალას უდრის.



**მიმდინარე წლის ზაფხულზე** განზრახულია შეუჩერებელი (მიწაზე დაუშვებლად) გადაფრენის მოწყობა დედამიწის გარშემო. მთავარი დაბრკოლება ასეთი გადაფრენის მოწყობის საქმეში — საწვავი მასალის მიწოდება აეროპლანისათვის—ასეთნაირად იქნება დაძლეული: განსაზღვრულ პუნქტებში აეროპლანს, რომელიც დედამიწის გარშემო უნდა გადაფრინდეს, დახვდებიან აეროპლანები საწვავი მასალით და უკანასკნელს მილებით გადასცემენ აეროპლანზე. სურათზე ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება საწვავი მასალის გადაცემა ჰაერში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნის ა, შეერთდით!

# დროშა

№ 9. 1929 წ. 17 მაისი

## პირველი მაისი საქართველოში





1) ამხ. შ. ელიავა ტრიბუნაზე სასახლის წინ. 2) დემონსტრანტების კოლონა რუსთაველის პროსპექტზე, 3) პიონერების ალლუმი თბილისში. 4) ჯარების ალლუმი თბილისში, მთავრობის წევრები ესალმებიან სამხ. ნაწილებს, 5) ამხ. მიხა ცხაკაია საპირველმაისო მიტინგზე ბათომში. 6) ბათომის ავიაქიმის წევრები ალლუმზე, 7) საპირველმაისო დემონსტრაცია ბათომში.

## გაზაფხულზე თბილისის ბაღებში



ბავშები მოირჭარიან ბაღში.



თამაშობენ.

# ქართული ცხენოსანი ლეგიონი

(8 წლის თავის შესრულების გამო)

## ე. ხუციშვილი

ყაზარმას ტკბილად სძინავს.

ცხენოსანი წითელარმიელები დღიური ჯაფის შემდეგ ისვენებენ, რომ მოიკრიფონ ძალღონე შემდეგი მეცადინეობისათვის.

არ სძინავს მხოლოდ ღამის გუშაგს, რომელიც დაუღალავად უვლის ყაზარმას.

ცხენებიც ისვენებენ ფართე და ლამაზად მოწყობილ საჯინიბოებში. ისინიც დაღლილი არიან, დიდი შრომა გასწიეს დღისით და ეხლა შეექცევიან ნოყიერ ქერს.

საგუშაგოს საათის ისარი ზანტად უახლოვდება 5-ს.

მზემ გორაკიდან ამოჰყო თავი და უხვად მოაფრქვია თბილისის მაღლობებს ოქროს ფერი სხივები.

ჰაერი გაარღვია ქარხნების საყვირების ხმამ.

ლეგიონის მორიგემაც მოიმარჯვა თავისი საყვირი და ყაზარმას მოეფინა ძახილი „ადექით, ადექით, ადექით“!

გამოცოცხლდა მიწყნარებული არემარე.

ახმაურდა ყაზარმის მიდამოები.

ცხენებმაც საყვირის გაგონებაზე დაცქვიტეს ყურები და დაიწყეს ფრუტუნი.

კარგათ იცნობენ ცხენები საყვირის ხმას, იციან, რომ საყვირის შემდეგ მალე გაჩნდებიან მათთან არმიელები, ტკბილად მიესალმებიან მათ, დაბანენ, გაასუფთავებენ და შემდეგ გაიყვანენ მინდვრად სანავარდოთ.

***

დილის 8 საათია.

მოთავდა ყაზარმის დალაგება-დასუფთავება.

არმიელთა საცხოვრებელი ბინები ლამაზად გამოიყურებიან: აქ ყველაფერი თავის რიგზეა ქვეშსაგები აკეცილია რკინის საწოლებზე. პირსახოცი, საპონი, კბილის საწმენდი ჩოთქები და ფხვნილის კოლოფები კოხტად არის გამწკრივებული ყაფაზებზე.

მზეზე ელვარებენ მწკრივად დაწყობილი შაშხანა თოფები და მჭრელი ხიშტები.

არმიელები თავს იყრიან ესკადრონებში.

იწყება პოლიტმეცადინეობა.

ორი საათის განმავლობაში არმიელები პოლიტხელების ზედამხედველობით გულმოდგინეთ მეცადინეობენ, ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკურ მომენტში, იძენენ ცოდნას, რომელიც საჭიროა საბჭოთა კავშირის მოქალაქისათვის.

ცხენოსანი წითელ-არმიელი კარგათ იცნობს ჩვენ მტერ-მოყვარეებს. იცის მან, თუ ვინ არის ჩემბერლენი, პუანკარე და სხვა ძმანი მათნი და რა სურთ მათ ჩვენგან. ამასთანავე ცხენოსანი კარგათ არის გარკვეული სხვა საკითხებშიაც, თუნდაც თესვის კამპანიაში.



დროშა, რომელიც 8 წ. თავზე გადაეცა ლეგიონს

რამდენიმე არმიელმა ამას წინად კოლექტიური წერილი გაგზავნეს სოფლად და მისცეს რჩევა დარიგება თავის მეზობლებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, რომ გაადიდონ მოსავლიანობა.

— როცა დაუბრუნდებით სოფელს,—ამბობენ კახელი ცხენოსნები,—ჩაუდგებით სათავეში მიწის კოლექტიურად დამუშავების საქმეს. აქ, ყაზარმაში საფუძვლიანად გავეცანით ამ საკითხს, საკმაო ლიტერატურაც დავაგროვეთ, წერილების საშვალებით ნიადაგი თითქმის მომზადებულია სოფლად. იმედია მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება დაგვეხმარება ამ საქმეში და ჩვენც არ შევარცხვენთ ჩვენს აღმზრდელ ლეგიონს.

10 საათიდან იწყება ლეგიონში სამწყობრო მეცადინეობა.

უშიშარი ხალხია ცხენოსნები. როდესაც უყურებ მათ მეცადინეობას ცხენებზე, შიშის ჟრუანტელი გივლის ტანში.

აგერ, მოაქროლებს არმიელი კოხტა, ლამაზ, ოფლში გაწურულ ცხენს. არმიელის ხელში იელვა ხმალმა, რომლითაც იგი „სჩეხავს“ მარჯვნივ და მარცხნივ. უყურებ არმიელს და თან გეშინია, რომ ხმალით თავი არ წააგდებინოს ცხენს ან თვითონ არ მოიჭრას თავისი საკუთარი თავი, ხელი ან ფეხი.

მაგრამ, ამაოა შიში, მის ხელში ბასრი ხმალი ისე მოხერხებულად მოქმედობს, რომ ვაი იმას, ვინც ბრძოლის ველზე იგემებს მის ელვარებას.

თუმცა, არის ხოლმე, რომ ჩეხვის დროს ამა თუ იმ არმიელს, ან მეთაურს შესცდება ხმალის ხმარება. ამას წინად ერთმა მეთაურმა ყური ჩამოათალა თავის ცხენს. დარჩა ცხენი მხოლოდ ერთი ყურით. ცხენი საუკეთესოა, ახოვანი, ლამაზი, ოქროს ფერი. აუშნოვებდა ყურის უქონლობა. ადგა მეთაური და დაკარგული ყურის მაგივრად იშოვა ხბოს ყური და ისე მოხერხებულად მიაბა, რომ თუ კარგად არ დააკვირდები, ვერ გამოიცნობ, რომელია ცხენის და რომელია ხბოს ყური,

არმიელი ოქრუაშვილი საუკეთესო მჩეხველად ითვლება ლეგიონში. გაჭენებულ ცხენზე იგი ისე ხმარობს ხმალს, რომ ვერაფერი ვერ უდგება მას წინ.

საუკეთესოთ არიან გაწვრთნილი ცხენოსნები ჯირითში, სროლაში ცხენიდან, დაბრკოლებებზე გადახტომაში.

აგერ, მოჭქრის ცხენი. მხედარი ზედ არის გაკრული უნაგირზე. უცებ გადმოხტა იგი გაჭენებულ ცხენიდან და თვალის დახამხამებაზე ისევ ზედ მოექცა ცხენს. აი ორივე ხელით მოეჭიდა უნაგირს და გაჭენებულ ცხენზე ყირამალა დადგა.



ლეგიონის კედლის გაზეთის რედკოლეგია ამზადებს საიუბილეო ნომერს



ლეგიონის კლუბი

გაჭენებულ ცხენს წინ ხვდება დაბრკოლება, ალვირის დროზე მიშვება, დეზები და მამაცი



კითხულობს „წითელ-არმიელს“

მხედარი დაბრკოლების მეორე მხარეზეა და ისევ ყირამალა სდგას უნაგირზე.

მხედარმა უცებ მოიმარჯვა ხელში შაშხანა, ამოიღო მიზანში რაიმე საგანი და გაისმა სროლა. ცხენი არ შეშინდა, მხოლოდ უფრო დაცქვიტა ყურები და ელოდება მხედრის განკარგულებას. ტყვია კი მოხვდა ნიშანში.

***

მეცადინეობა გათავდა. ცხენოსნები მიეშურებიან საჯინიბოსაკენ, რომ მოხადონ ცხენებს უნაგირი და მოათავსონ ისინი თავ-თავიანთ ადგილას.

არმიელს უყვარს თავისი ცხენი და თავგამოდებით უვლის მას. ყოველ ცხენს აქვს საკუთარი სახელი: „ბონაპარტი“, „ბაბუცა“, „არხი“, „ბადრი“, „ცელქი“, „დარდიმანდი“ და სხვა.

როდესაც არმიელნი დააბინავებენ ცხენებს, დაიბანენ ხელ-პირს, მიაშურებენ სასადილოს. სადილის შემდეგ კი მიდიან ესკადრონებში და ისვენებენ ცოტა ხნით.

ორ საათს, 4-დან 6 საათამდე, არმიელები მუშაობენ კლუბში. ამ დროს მეცადინეობენ სხვადასხვა წრეები და არმიელები. აქაც დაუზარებლივ საქმიანობენ, რომ შეიძინონ რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გამოცდილება სოფლისათვის.

საღამოთი კი ისევ ჯირითი ცხენებზე და შემდეგ კი კინო, ან წარმოდგენა.

***

ქართულ ცხენოსან ლეგიონს, ქართულ წითელი ჯარის სიამაყეს, შეუსრულდა თავისი არსებობის 8 წელი.

ბევრი გაჭირვება გამოიარა ლეგიონმა ამ ხანში. უბინაობა, სიმშილი, სიცივე...

ბევრი ბრძოლა გადახდა მას მშრომელთა მტრებთან.

თავგანწირვით იბრძოდა ქართული ცხენოსანი ლეგიონი და თან ყაზარმის კედლებში აწარმოებდა გაცხოველებულ მუშაობას წითელ არმიელთა აღსაზრდელათ.



გულითადი ამხანაგები



საწოლი ოთახი

8 წლის განმავლობაში ლეგიონში გამოიზარდა 2000-მდე მოქალაქე მებრძოლი, რომლებიც დღეს დაფანტულნი არიან საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში და თავგანწირვით იბრძვიან ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

თავის არსებობის რვა წლის თავზე, ქართული ცხენოსანი ლეგიონი წარმოადგენს მტკიცე მებრძოლ ერთეულს, რომელიც მზად არის ეკვეთოს მტერს და ბოლო მოუღოს მას.

ლეგიონის მთელმა შემადგენლობამ კარგად იცის, თუ ვის ემსახურება იგი, მტკიცედ უჭირავს მას თავისუფლების წითელი დროშა და ამაყად მიდის წინ ახალი გამარჯვებისაკენ—სწავლებისა და ბრძოლის უნარის განმტკიცების საქმეში.

ე. ხუციშვილი.

# გამოფენა სახელმწიფო უნივერსიტეტში



თბილისის მაზრის ხრიოკი ადგილების მცენარეების და ქვების კუთხე



სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო წრის წევრები აანწილებენ ექსპონატებს

ამ რამოდენიმე ხნის წინათ საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამეცნიერო - საბუნებისმეტყველო წრის მიერ მოწყობილი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია წრის წევრ-სტუდენტთა მიერ ექსკურსიების დროს შეკრებილი მინერალები, მცენარეები და მწერები.

# თეთრი ჯვრიდან წითელი დროშისკენ*)

## მაქს ჰელცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნილი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ

### ომის დასაწყისი. როგორ იჭერდნენ ჯაშუშებს?

ომის დაწყების დროს ფალკენშტაინში ვიყავი. ომით აღფრთოვანებული არ ვყოფილვარ, პირიქით ქრისტიანული მოტივების გავლენით ძლიერ სიძულვილს ვგრძნობდი ომისადმი, ეს გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერა იმ ამბებმა, რომელიც აგვისტოს პირველ დღეებში განვიცადე. 6 აგვისტოს ჩვენი ქალაქი დიდათ აღელვებული იყო. ერთმა ნაღდმა „პატრიოტმა" გვაცნობა—ქალაქისკენ ავტო მოდის, რომელშიც შეიარაღებული ჯაშუშები სხედანო: მათ განზრახული აქვთ მდინარის ჯებირები ააფეთქონ ფალკენშტაინის მახლობლათ, რათა ქალაქის მიდამოები წყალმა წალეკოსო. ერთ წუთში მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, ქუჩები რკინის ჯაჭვებით ჩაკეტეს. აღგზნებული და გაავეთრებული ფილისტერები ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ,—ბრბოს რკინეულობის [illegible] კისლინგი მეთაურობდა, სანადირო თოფით შეიარაღებული. სხვა „პატრიოტები" ჯოხებით, ქვებით და ქოლგებით იყვნენ აღჭურვილნი.

ქალაქში საეჭვო ავტო მართლაც შემოვიდა, მძიმე რკინის ჯაჭვებმა მას გზა გადაუღობა ხოლო ნახევრად გაგიჟებული ბურჟუების ხროვა ველური ყიჟინით გარს შემოეხვია. ავტოში ექვსი ადამიანი იჯდა, იარაღიც აღმოჩნდა. მგზავრების ახსნა-განმარტებას და ფიცს ყური არავინ ათხოვა, სამშობლოს დამცველები თავს დაესხნენ ამ „ჯაშუშებს", ძირს გადმოათრიეს ერთი მათგანი, რომელიც ცოტათი უცხოელს წააგავდა და ისე შეუბრალებლად გალახეს, რომ იმ უბედურს ცხვირპირიდან სისხლი წავარდა, ხოლო თვითონ ლონემიხდილი მუხლებში ჩაიკეცა. შემდეგ გმირებმა „ტყვეები" ქალაქის რატუშაში წაათრიეს. იქ გამოირკვა, რომ ყველაზე მეტათ დაზიანებული მგზავრი ფალკენშტაინის მახლობელი ელექტრო სადგურის ხელმძღვანელი ინჟინერი ყოფილიყო, იგი აწვდიდა ქალაქს ენერგიას და სინათლეს. მას თანამოსამსახურეებთან ერთად პლაუენის შტაბიდან იარაღი წამოეღო, რათა ელექტრონის სადგური დაეცვა მტრის თავდასხმისაგან; ერთი სიტყვით, იგიც ჯაშუშების შიშით ყოფილიყო შეპყრობილი.

### ომის მოხალისე

რადგან სათადარიგო მოლაშქრე ვიყავი, ადგილობრივ სამხედრო უწყებას შევეკითხე, როდის გამიწვევთ მეთქი. მიპასუხეს, მეცხრე დღეს მობილიზაციის დაწყებიდანო. ჩემს კითხვაზე—შემიძლია თუ არა მაშინ სამხედრო ნაწილის არჩევა მეთქი, უარყოფითი პასუხი მივიღე. მე ვიფიქრე: თუ კი მეცხრე სამობილიზაციო დღეს ისედაც გამიწვევენ, ხოლო სამხედრო ნაწილს აღარ ამარჩევინებენ, უმჯობესია რამდენიმე დღით ადრე მოხალისეთ ჩავეწერო, რათა სამხედრო ნაწილი სურვილისამებრ ავირჩიო მეთქი. მაშინვე გროსჰაინის გარნიზონში წავედი, რომელიც ჩემი სამშობლო სოფლის მახლობლათ იდგა და მოხალისეთ შევედი 18 სამეფო ჰუსართა ათასეულში. ეს მოხდა 1914 წლის 10 აგვისტოს.

ხანმოკლე გაწვრთნის შემდეგ, ოქტომბრის პირველ დღეებში მე-27 სათადარიგო კორპუსთან ერთად უკვე ბრძოლის ასპარეზზე გავედი. ეს კორპუსი სრულიად ახლად შედგენილი იყო და საქსონიის სამხედრო მინისტრის, გენერალ ფონ კარლოვიცის მეთაურობის ქვეშ იმყოფებოდა. მე თერთმეტ სხვა ჰუსართან ერთად გენერალთან დამნიშნეს, როგორც მისი პირადი თანმხლებნი.

1914 წლის ოქტომბერში იპრთან პირველად შევეჯახეთ ინგლისელებს. ახლა უკვე შემთხვევა მეძლეოდა სამშობლოში გაგონილი მაღალფარდოვანი სიტყვები ბრძოლის ველის პრაქტიკასთან შემედარებია.

წინსვლის დროს ერთი პატარა დაბის—ლედეგემის ქუჩაზე თორმეტი ახლად დახვრეტილი მცხოვრები დავინახე, მათ შორის ორი გოგო იყო, ათი-თორმეტი წლის ჰასაკში. ეს ადამიანები ბრძოლაში არ იყვნენ დახოცილი, ისინი გერმანელ ჯარისკაცებს გაეჟლიტათ. ჩვენ შევკითხვაზე, რათ დაგიხოციათ ეს ხალხიო, ერთმა ოფიცერმა გვიპასუხა, ესენი ფრანკტირერები (თავისუფალი მსროლელები) არიანო ერთმა ამ დახვრეტილმა გოგოთაგანმა გერმანელ იეგერთა ოფიცერს ჰკითხა, რომელი საათიაო, ხოლო როცა ოფიცერმა საათს დახედა, გოგომ თოფი ესროლაო.

ჩვენ ლედეგემში დავბანაკდით და მცხოვრებლები გავიცანით. აღმოჩნდა, რომ დახვრეტილთა წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება მტკნარი სიცრუე იყო. გერმანელ იეგერებს დაბაში ყველა ღვინის და ლუდის კასრი დაეცალიერებინათ და გასაკვირალი არაა, რომ ამის შემდეგ თავისებური მეზარადისებური ბუზრის თავები თავისუფალ მსროლელებათ მიეღოთ.

### „აქ დახვრეტილთა ბავშვები არიან"

დაბაში ერთ სახლს კარებზე ცარცით წარწერა ჰქონდა: „აქ დახვრეტილთა ბავშვები არიან". ამ თხუთმეტმა თუ ოცმა ობოლმა ბავშვმა ჩემზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სანამ იპრისკენ მივიწევდით, კორპუსის გენერალი და მისი შტაბიც ხშირად ხვდებოდა თოფის სროლასა და ყუმბარების ცეცხლში. მაგრამ, როცა პოზიციური ომი დაიწყო, შტაბი უხრუნველყოფილ ადგილას დაბანაკდა ფრონტის დაშორებით: აქ დაიწყო ცხოვრება, რომელიც ჩემში ზიზღს იწვევდა. მრავალრიცხოვანი და სხვა ჩინოსნები, რომელნიც შტაბში იყვნენ მოკალათებული, ითვრებოდნენ, ღრიანცელს და აყალმაყალს სტეხდნენ და ყოველივე უწესოებას სჩადიოდნენ: ამის შემდეგ რა პატივისცემა უნდა შერჩენოდათ გერმანელი ოფიცრის მიმართ უბრალო ჯარისკაცებსა ან დაკავებული ადგილების მცხოვრებთ? ადამიანები, რომელთაც არასოდეს მტერი თვალით არ დაუნახავთ, რკინის ჯვარს ღებულობდნენ. ერთმა ჟანდარმმა, რომელსაც მე ველზე სამი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა, ჯაშუშობისთვის მიიღო ეს უმაღლესი ჯილდო, ჩვენ კი გვარწმუნებდა, ჩემს მახლობლად ხუთი მეტრის მანძილზე ყუმბარა გასკდა, მაგრამ არაფერი დამშავებიაო.

ეს არამზადები ხშირად ლანძღავდნენ და სიმხდალეს აბრალებდნენ დაჭრილ ჯარისკაცებს, რომელნიც ტალახში ამოსვრილი, მშიერი და მწყურვალე მოდიოდნენ ფრონტიდან. სირცხვილის ალძური ამდიოდა, როცა ახალ ჰუსარულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩემ ამხანაგებთან ერთად ცხენს მივაჭენებდი გენერლის უკან და ურიცხვ დაჭრილთა რაზმებს ვხედავდი: მათ ხშირად საფრთხე მოელოდა ჩვენი ცხენების ქაჩაჩებისაგან და, რა გასაკვირველია, რომ გაბოროტებული სახით შემოგვცქეროდნენ.

ხშირად სამშობლოდან მეგობრების და ნათესავების გამოგზავნილ ძღვენს ვღებულობდი ფოსტით და რამდენჯერმე შოკოლადი ან ნამცხვარი მივაწოდე გზათ მიმავალ დაჭრილებს. ამისთვის შენიშვნა მივიღე შტაბის ოფიცრებისაგან: ყოვლად დაუშვებელია, რომ შტაბის წევრი უბრალო ჯარისკაცს გამოელაპარაკოსო.

ჩემ თვალწინ გაატარეს ერთი ფრანგი, რომელსაც პირში ხიშტის ჭრილობა მიეღო, ხოლო სხეულზე რამდენიმე ადგილას ტყვიით დაჭრილი ყო; მას მკვდრის ფერი ედო და ძლივს მიბარბაცებდა; მე წყალი მივაწოდე ჩემი საველე თასით. ამ ამბავმა ჩემი უფროსი ოფიცრის წყრომა და ჩემი ზემდეგის მუჯლუგუნები გამოიწვია.

### „არაკეთილსაიმედო კანტონისტი"

ხონეშეკის აღების დროს გერმანელებმა ბევრი ტყვე იგდეს ხელთ. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ გაატარეს შტაბის წინაშე, რომელიც თავისი ცხენებითა და ავტომობილებით შარა გზაზე იდგა. ჩვენს ულანებს დავალებული ჰქონდათ ტყვე ინგლისელები საეტაპო სადგურამდე მიეყვანათ. ისინი თავს ირთობდნენ იმით, რომ შუბებით ბარძაყებსა და ზურგში ჩხვლეტდნენ ტყვეებს. ერთმა ულანმა პატარა ტანის ინგლისელს, რომელიც ტყვეების რაზმს უკან ჩისჩანჩალებდა, ისე ლონივრათ ჰკრა ფეხი ხერხემალში, რომ ტყვე იქვე ჩაიკეცა. მე წაქცეულს მივვარდი და ორიოდე სანუგეშო სიტყვა ვუთხარი მის დედაენაზე. ეს ამბავი ულანებმა მაშინვე ავტოში მყოფ სადივიზიო გენერალს აცნობეს. მან უსასტიკესათ გამკიცხა მთელი ჯარის წინაშე და იმ წუთიდან არაკეთილ საიმედო კანტონისტათ გამომაცხადეს მტერთან კავშირის დაჭერისთვის.

1915 წლის ზაფხულში, დიდი შეტევის დროს, გერმანელმა ჯარმა მტრის რაზმები გაარღვია და ისეთი ტერიტორია დაიკავა, რომელიც წინათ ფრანგებსა და ინგლისელებს ეჭირათ. ჩვენ გვამებით დაფარულ ველზე მივაბიჯებდით. ათასობით ეყარა დახოცილი ინგლისელების ფრანგების, ზუავების და გერმანელების ცხედრები. ზოგიერთი ექვსი თვის წინათ იყო მოკლული, გვამები გაშავებული და გასიებული იყო, თვალებიდან სქელი, ყვითელი სითხე გადმოდიოდა. აუტანელი სუნი იდგა. შეუძლებელი იყო ერთი წუთით გაჩერება, თუ არ ცხვირპირ ახვეული. ამისდამიუხედავათ, თითქო მოჯადოებული ვყოფილიყავი, საათობით შეძრწუნებული და აღშფოთებული ვიდექი ამ გახრწნილ გვამებს შორის და თავის თავს ვეკითხებოდი: რას იტყოდნენ მახლობლები - თავიანთი ქმრები, ძმები და შვილები ამ მდგომარეობაში რომ ენახათ? ნუ თუ არ აჯანყდებოდნენ, რათა ამ უაზრო და საშინელი ხოცვა-ჟლეტისთვის ბოლო მოეღოთ?

### პირველი დაფიქრება

ყოველივე განცდილის მიერ დიდათ შეშფოთებული და აღელვებული ვიყავი და მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობდი: რა აზრი და რა მიზანი აქვს ამ ხოცვა-ჟლეტას მეთქი. სომმისა და იპრის ბრძოლებში მიღებულ შთაბეჭდილებათა შემდეგ მუდამ ეს კითხვა მტანჯავდა. ვგრძნობდი, რომ ჩემს ძველს მსოფლმხედველობაში ყოველივე წესრიგზე არ იყო. ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ბრძოლა არ იყო ბრძოლა უფლებისა და სამართლიანობისთვის. რა ჰქონდათ გასაყოფი და საჩხუბარი ამ ადამიანებს, რომელნიც წინათ ერთმანეთს არც კი იცნობდნენ?

მე არ შემეძლო გული გამეხსნა ამხანაგებისთვის. ისინი ვერ გაიგებდნენ ჩემს გულისტკივილს და სინიდისის ქენჯნას. თავიდანვე უნდობლათ მეპყრობოდნენ, მიტომ, რომ არც მათს ქალალდის თამაშობაში ვღებულობდი მონაწილეობას, არც მათს უწმაწურ ლაპარაკში. ჩემი თავდაჭერილობა და ჩემი „ახალი აღთქმის" წიგნი მათ სასაცილოთ არ ჰყოფნიდათ. განსაკუთრებით ორი ხნიერი ჯარისკაცი მაწვალებდა; ერთხელ ერთმა მათგანმა ცხენის საურველი მომარტყა კბილებში. უმწეობისა და სასოწარკვეთილების გამო მზათ ვიყავი ტყვია მეკრა თავში. წინათ ყოველ დარტყმასა და ძალმომრეობას ისე ვღებულობდი, როგორც აუცილებელ ბოროტებას, რომელსაც, ჩემის აზრით მორწმუნე ადამიანი არ უნდა შებრძოლებოდა. ახლა ჩემში უცებ გადატრიალება მოხდა. ერთხელ სალამოთი ორი ზემოხსენებული ჯარისკაცი ხელახლა თავს დამესხა; საშინელი დაღლილობის მიუხედავად ზეზე წამოვხტი, გააფთრებული ყელში ვეცი ერთს მათგანს და დავსჭყივლე—ახლავე გაგათავებ, თუ თავი არ დამანებე მეთქი. ამ ცვლილებამ ისეთი გავლენა იქონია ჩემს „ამხანაგებზე", რომ ამ დღიდან ჩემს წვალებას თავი დაანებეს.

### „ღვთაებრივი მსოფლიო წესწყობილება" ირყევა

ზემოხსენებულ განცდებს მოჰყვა ის, რომ მე ეჭვი დამებადა ქრისტიანული მოძღვრების და ღვთაებრივი მსოფლიო წესწყობილების ჭეშმარიტებაში და თავის დაცვა დავიწყე ყოველი ცუდი მოპყრობისა და თავდასხმის წინააღმდეგ; ამიერიდან ვინც ერთს შემომკრავდა სამაგიეროთ უეჭველად ორს შემოკვრას მიიღებს ჩემგან.

როგორც ჯარისკაცი მე ვცდილობდი ჩემი ვალდებულება შემესრულებია, მაგრამ უფრო

*) გაგრძელება. იხ. „დროშა" № 8

და უფრო ვეჭვობდი, რომ ის, რასაც მაკეთებინებდნენ, შესაფერდებელი ყოფილიყო ნამდვილი ადამიანობის პრინციპებთან.

დაჭრილი და დახოცილი ინგლისელების დანახვა მახსენებდა, რომ ინგლისში მრავალმა ადამიანმა კეთილი მიყო. ჩემთვის ძნელი გახდა თავი დამეღწია ჩემი აზრების ხლართებისთვის. რაკი ეჭვიანობამ ჩემი რელიგიური წარმოდგენანი შეარყია, ყოველი კითხვა ხელახლა უნდა გადამესინჯა. მე მასწავლეს, რომ მდიდრის და ღარიბის არსებობა აუცილებელია და ღარიბი ამ ქვეყნიური ტანჯვა-წვალების სანაცვლოთ სამოთხეში მოხვდება სიკვდილის შემდეგო. ბრძოლის ველზე კი ვხედავდი, რომ მხოლოდ ჩაგრულნი და მჩაგვრელნი არსებობდნენ და მეტი არაფერი.

## შტაბიდან ფრონტისკენ

შტაბის ცხოვრება ჩემთვის დღითი დღე უფრო აუტანელი ხდებოდა. ვითხოვე ქვეითი ჯარის ათასეულში დამენიშნეთ ფრონტზე მეთქი. თხოვნა უარყოფილ იქნა,—მიღებული არ არის ცხენოსანი ჯარიდან ქვეითა ჯარში გადასვლაო. რამდენჯერმე გავიმეორე ჩემი თხოვნა; ბოლოს 106 სათადარიგო ქვეითა ბრიგადაში გადამიყვანეს მზვერავ მხედრათ.

ამიერიდან ფრონტზე ყოველივე გაჭირვებას და შევიწროებას ვიტანდი ამხანაგებთან ერთად და კმაყოფილი ვიყავი, რომ იმათზე უკეთ აღარ ვცხოვრობდი, ვისაც წინათ შურით შემომყურებდა. მე მივიღე რკინის ჯვარი და ფრიდრიხ-ავგუსტის მედალი და მონაწილეობა მივიღე ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც 27 სათადარიგო კორპუსმა დასავლეთის და აღმოსავლეთის ფრონტზე აწარმოვა 1917 წელს. რუსეთში შეტევის დროს უცნაური შემთხვევის წყალობით პირველად გავეცანი სოციალისტს. „ლეიპციგერ ფოლქსცაიტუნგის" რედაქტორი გეორგ შუმანი, რომელიც მაშინ ჯარისკაცათ მსახურებდა ბრძოლის ველზე, დასმენილ იქნა და სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგა, ეს სასამართლო კი ჩვენს დივიზიასთან იმყოფებოდა. რამდენიმე ამხანაგთან ერთად მე დავალებული მქონდა დაჭერილი გეორგ შუმანისთვის მედარაჯნა. ამრიგათ ჩვენ ყოველ დღე მასთან ვიყავით და, თუმცა მკაცრად აკრძალული გვქონდა დატყვევებულისთვის ხმა გაგვეცა, მაინც ვესაუბრებოდით. იგი არ მალავდა თავის სოციალისტურ და რევოლიუციონურ მსოფლმხედველობას და სცდილობდა ჩვენც გადავებირებიეთ.

შუმანის ქადაგება ჩემთვის ახალი, გაუგონარი, უძლეველი იყო, იგი სრულიად ახალი სამყაროს კარებს მიხსნიდა, ამ სამყაროზე იქამდე წარმოდგენაც კი არ მქონია. მისი ნათქვამიდან ბევრი რამ არ მესმოდა, მაგრამ იგი ალიზიანებდა ჩემს აზროვნებას და გზას მიჩვენებდა ახალი მსოფლმხედველობისკენ, რომლის შესახებ წინათ ოცნებასაც ვერ გავბედავდი. გეორგ შუმანის დასასჯელად ბრალდებელმა 12 წლის კატორღა მოითხოვა, მაგრამ მას მხოლოდ 6 თვის სატუსაღო მიუსაჯეს „გამხრწნელი მუშაობისთვის ჯარისკაცებს შორის".

## ჩვენ გავიგეთ რუსეთის რევოლიუციის ამბავი

გალიციიდან რუსეთის საზღვრისკენ შეტევის დროს პირველად მივიღეთ კანტიკუნტათ ცნობები რუსეთის რევოლიუციის ამბების შესახებ. უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა თვით არასოციალისტებზე დატყვევებული რუსი ჯარისკაცების ცნობამ, რომ რუსეთში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები შესდგაო. თვით იმ გერმანელმა ჯარისკაცებმა, რომელნიც მანამდე სოციალიზმთან შორს იდგნენ და რომელთა რიცხვს მეც ვეკუთნოდი, ინსტინქტიურათ იგრძნეს, რომ ხდება ცვლილება, რომელიც რუსეთის საზღვრებს გადალახავდა. თითქმის ყველას ერთი და იგივე აზრი გვიტრიალებდა თავში: ესაა ომის დასასრულის დასაწყისიო. როცა გერმანელი ჯარის დიდმა ნაწილმა დაძმობილება დაიწყეს რუსის ჯარისკაცებთან, მთავარ სარდლობამ გადასწყვიტა აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომი ნაწილები შეეცვალა. ჩვენ ხელახლა დასავლეთისკენ გაგვგზავნეს.

უკანასკნელი დიდი შეტევის დროს 1918 წლის გაზაფხულზე ის სამხედრო ნაწილი, რომელსაც მე ვეკუთნოდი კამბრედან იერიშზე გადავიდა. გამოკვების საქმე უდიდესად გამწვავებული იყო. პური იმდენათ ცოტა გვეძლეოდა, რომ ძლივს ვიდექით ფეხზე. ამავე დროს დღეში 40—50 კილომეტრი უნდა გაგვევლო.

შარა გზაზე და მინდორში დახოცილი ცხენები ეყარა, ნაწილობრივ უკვე გახრწნილი სიცხისგან; ჯარისკაცები ამ ცხენებს ხორცს აჭრიდნენ და ოდნავ ხარშავდნენ. უმრავლესობას მარილიც კი არ ჰქონდა. ამისდამიუხედავად ხარბათ ნთქავდნენ, რათა აუტანელი შიმშილი მოეკლათ.

ამიენთან გერმანელების შეტევა შეჩერებულ იქნა. ფრანგებმა დახმარება მიიღეს ამერიკელების სამხედრო ძალების სახით. ამ ამბავმა საშინლად შეაშფოთა და დაალონა ჩვენი ჯარი. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მოტყუებული და გაყიდული ვიყავით ტირპიცისა და სხვა სამხედრო წინასწარმეტყველების მიერ, რომელნიც ყოველთვის გვარწმუნებდნენ, ამერიკას არ ძალუძს ჯარების გადმოსხმაო.

## ამერიკელების გრიგალისებური ცეცხლი

თითქმის ოთხი წლის არაქათ გამომცლელი ბრძოლის შემდეგ გერმანელი ჯარებისთვის, რომელთაც ყოველივე აკლდათ, სრულიად შეუძლებელი იყო კარგათ გამოკვებილი და ტეხნიკურათ საუცხოვოთ აღჭურვილ ამერიკელი ჯარისკაცებისთვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ. ამიენთან ვიგრძენით, რას ნიშნავდა ის ამბავი რომ საფრანგეთის ფრონტზე ჩვენს წინააღმდეგ ამერიკელები იბრძოდნენ. პირველმა ამერიკულმა ყუმბარებმა ჩვენს რაზმებში გამანადგურებელი გავლენა მოახდინეს, როგორც ფიზიკურათ, ისე მორალურათ; ჩვენს არტილერიას მხოლოდ სუსტი პასუხის გაცემა შეეძლო. ჩვენი 21 სანტიმეტრიანი მორტირები, რომელიც ყოველთვის ჩვენს საამაყო საგანს წარმოადგენდა, გზებზე იდგა უმოქმედოთ; სასროლი მასალა გვაკლდა.

ჩვენი შეტევა საოცრათ ჩქარა განვითარდა, მაგრამ სასროლი მასალის მოწოდება იმავე ჩქარი ხაზიჯით არ სწარმოებდა, და ჩვენი ზარბაზნები ჩუმათ იდგნენ, თითქო ჩვენი უიმედობის განსახიერება ყოფილიყვნენ: ამავე დროს გარშემო ამერიკული ზარბაზნები მიწას სთხრიდნენ და საშინლად ანადგურებდნენ გერმანელების რაზმებს.

6 მარტს, წვიმიან დილას, მე და ჩემი ორი ამხანაგი ჩვენი ცხენებითურთ ტყეში ვიყავით დამალული, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ამიენიდან. დავალებული გვქონდა აქ ბრიგადის შტაბის განკარგულებისთვის დაგვეცადა, ხოლო შემდეგ ცალკე ათასეულებისთვის გადაგვეცა. დაახლოვებით ას მეტრზე ჩვენს უკან ჩვენი არტილერია იდგა. დილის ექვს საათზე მან მტრის პოზიციებს სროლა აუტეხა, ყუმბარები ჩვენი თავების ზემოთ გადადიოდა. ნახევარ საათსაც არ გაევლია და ამერიკელებმა გააფთრებული, გრიგალისებური ცეცხლი დაანთეს ჩვენს ხაზებზე. თავიანთი მრავალრიცხოვანი მფრინავების შემწეობით ჩქარა აღმოაჩინეს ჩვენი არტილერიის სამყოფი ადგილები. ეს დღე გერმანელ ჯარებს ძვირათ დაგვიჯდა, რამდენიმე ათასი კაცი დაგვეჭრა და დაგვეხოცა.

## დაფლეთილი ადამიანები

ჩემს გვერდით ტელეფონისტი წაიქცა, იგი ამ დროს გაფუჭებულ მავთულებს ასწორებდა. სრულიად ახალგაზრდა იყო, შეიძლება თვრამეტი წლისა, მხოლოდ გარეგნობით თხუთმეტი წლისას ჰგავდა. ძლიერ იყო დაჭრილი, ყუმბარის ნატეხი ფეხზე მოხვედროდა და გადამტვრეულ ძვლებს მხოლოდ პაჭიჭები ღა ამაგრებდა. გულის საკლავად გაიძახოდა: „დედაჩემო, დედაჩემო!" ყუმბარების განუწყვეტელი სეტყვა ხეებს ამტვრევდა და მიწას სთხრიდა. მახლობელ არხზე ექვსიოდე დაჭრილი გადმოვიდა ბარბაცით, ერთმანეთისთვის ხელები ჩაეჭიდათ. უცებ მათ შორის ყუმბარა გასკდა; როცა კვამლი გაიფანტა, დაჭრილთა ადგილზე მხოლოდ ორიოდე თითი, ერთი ტიტველი ფეხი და სხეულის ნაფლეთები ღა ეყარა.

ჩემი ცხენი ყუმბარის ნატეხმა მოჰკლა. მე თვალებში მიწა და სილა მქონდა შეყრილი და თითქმის ველარ ვხედავდი. როცა ჩვენ დაჭრილების გარშემო ვფუსფუსებდით, ერთ ჩემს ამხანაგს, რომელთანაც ბრძოლის ველზე ოთხი წელი გავატარე, ყუმბარა მოხვდა და ხერხემალი გაუჩეჩქვა. მას კიდევ თხუთმეტი წუთი იცოცხლა, მისმა თვალებმა სიცოცხლის ნიშანწყალი დაჰკარგა და მინისებური გახდა. განუწყვეტლივ ჩემს სახელს გაიძახოდა. ტყის მახლობელ გზაზე გაჭირვებით მოდიოდნენ დაჭრილები. იქვე ფრანგი გლეხის ეზოში საველე ლაზარეთი იყო გამართული; იქ ხუთასზე მეტი დაჭრილი იწვა მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ექიმი ჰყავდა. ჩქარა შესახვევი მასალა გამოილია. იმავე დღეს რამდენიმე ყუმბარა დაეცა იმ საველე ლაზარეთს და ყველა ავადმყოფი ექიმითურთ მოჰკლა. გზაზე ჩანჩალით მომავალ დაჭრილებს საშინელი ბედი ელოდა. არტილერიის ნაწილები სცდილობდნენ გაცლოდნენ გზაჯვარედინებს, სადაც ამერიკელების ცეცხლის კონცენტრაცია ხდებოდა, ისინი გიჟურათ მიაქენებდნენ ცხენებს და გზათ მომავალ დაჭრილებს ყურადღებას ველარ აქცევდნენ; ამრიგათ მრავალი მათგანი ჩვენმა ცხენებმა გაჭეჭყეს.

მე უფლება არ მქონდა ჩემი ადგილი დამეტოვებია, რადგან ცნობების მიღებისთვის უნდა დამეცადა. ცეცხლის ქარიშხალი კი თან და თან ძლიერდებოდა. ყუმბარების გრიალს ზედ ერთოდა დაჭრილების ხრიალი და ყვირილი; მათი მშველელი არსად იყო, თითქმის გაგიჟების საზღვარზე ვიყავი და ორმოში ჩავხტი, სადაც ძლიერ დავეცი.

## როგორ გადაეჩვევა ადამიანი ლოცვას.

მთელი ჩემი არსება ერთი აზრით იყო გამსჭვალული: უეჭველათ ყუმბარა მომხვდება; დაე ისე მომხვდეს, რომ ჩემგან სრულიად არაფერი დარჩეს. შიშის ძრწოლა მიტანდა, როცა გავიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა დავსახიჩრებულიყავი, შემდეგ მთელი საათობით მიწაზე ვგდებულიყავი და მეღრიალა!!! ცხარეთ ვლოცულობდი და მოულოდნელ სიკვდილს ვთხოულობდი... ეს იყო ჩემი უკანასკნელი ლოცვა! ამ შემაძრწუნებელი წუთების შემდეგ სარწმუნოებრივი ილუზიები აღარ შემრჩენია.

ცნობა მომიტანეს ათასეულისთვის გადასაცემათ. მოკლული ამხანაგის ცხენზე შევჯექი, გავაჭენე და უკვე ნამდვილ ტყვის სეტყვაში მოვხვდი. ორი თუ სამი მეტრის მანძილზე ყუმბარა ჩამოვარდა რბილ ნიადაგზე, ცხენი ყალყზე შედგა, წაიქცა და ქვეშ მომიტანა; ამ მდგომარეობაში საღამომდე დავრჩი გარეტიანებული. ბოლოს ახლო მიმავალმა ჯარისკაცებმა გამათავისუფლეს. მათთან ერთად ორასი თუ სამასი მეტრი განვლე წინ, შემდეგ სროლა ისეთი მძაფრი გახდა, რომ წინსვლა შეუძლებელი იყო. უფროსმა გვიბრძანა ყუმბარების მიერ გათხრილ ორმოებში შეგვეფარებია თავი. თითო ორმოში ორ-ორი ჩავძვერით. იქ მშიერ-მწყურვალი და გაყინული ველოდით როდის განელდებოდა ეს გააფთრებული ხანძარი, მაგრამ იგი უფრო და უფრო მძვინვარებდა. ჩვენს მახლობლად ყუმბარები სკდებოდა, ნიადაგი ზანზარებდა. მხოლოდ ხანმოკლე შეჩერების დროს სამარქაფო ნაწილებმა მოახერხა ჩვენი ამოყვანა ამ საფლავებიდან. გერმანელ ჯარებს აღარ შეეძლო მეტის ატანა, ჩვენ იძულებული გავხდით უკან დაგვეხია.

## საველე ლაზარეთში

ჩვენ დასვენებულმა ჯარმა შეგვცვალა, ხოლო ჩვენი ნაწილები ვერდენის მახლობლად დააბანაკეს. მე მეზიზღებოდა უქმათ ყოფნა სამარქაფო ჯარში და ამიტომ ხელახლა ფრონტზე გაგზავნა ვითხოვე: ახლა საარტილერიო ნაწილში დამნიშნეს. ჩქარა ჩემი სურვილის წინააღმდეგ ხელში ჩაუვარდი სამხედრო ექიმებს, რომელთაც ყოველთვის გაურბოდი, მიტომ, რომ უბრალო ჯარისკაცებს ასე შეუბრალებლად ეპყრობოდნენ. ფეხის თითები დამიწყლულდა, ჩემი ნაწილის ექიმმა ლაზარეთში გამგზავნა ოპერაციის მოსახდენათ. ლაზარეთის ექიმს ვკითხე, ფრჩხილების ამოგლეჯას ხომ არ მიპირებთ მეთქი; ამის მეშინოდა, მიტომ რომ იმამდე ერთხელ უკვე გამიკეთეს ასეთი ოპერაცია.—ეს თქვენი საქმე არ არის, იმას ვიზამთ, რაც საჭიროაო,—მიპასუხა ექიმმა. რამდენიმე კაცი შემომერტყა, მაგრათ შემკრეს და დოსტაქარმა უნარკოზოთ ფრჩხილები ძირიანათ ამომგლიჯა. თრთოლამ ამიტანა და ნერვების აშლილობა დამჩემდა.

თოთხმეტი დღის შემდეგ ლაზარეთში მომათავსეს, სამხრეთ გერმანიაში. აუწერელია ის ჯოჯოხეთი, რომელიც იქ ვნახე. ჩემს მეზობლად მწოლარე ჯარისკაცს, რომლისთვისაც ყუმბარის ნატეხს საკვერცხეები წაეგლიჯა, აღარ უნდოდა სიცოცხლე. მრავალჯერ სცდილიყო თვითმკვლელობას, მაგრამ მეთვალყურეებს ხელი შეეშალათ. იმ უბედურმა დიდი ჯიუტობა გამოიჩინა. შინაურებისაგან ამანათი მიიღო, ეს

ამანათი საფოსტო ხის ყუთში ყოფილიყო, რომელსაც თუნუქის კუთხეები აქვს დასამაგრებლად. ამ პაწაწინა თუნუქის ნაჭერით საბნის ქვეშ მუცელი გაიჭრა და ხელით შიგნეულობა ამოიყარა, ისე რომ იქვე მჯდომარე მსახურმა ვერაფერი შეამჩნია.

## განთავისუფლება სამხედრო სამსახურიდან

ფეხების განკურნების შემდეგ ოშატის ულანთა ყაზარმაში გადამიყვანეს. იქ ერთი მსხვილი ზემდეგი იყო, რომელსაც არასოდეს ფრონტი არ ენახა და ახლად გაწვეულთ უფრო აწვალებდა, ვიდრე ასწავლიდა. იგი გამაღიზიანებელი ტონით გაკიცხვას მიცხადებდა, რადგან მე ჩემი დასუსტებული ფეხებით მარდათ ვერ დავრბოდი. ბოლოს მოთმინება დავკარგე და ვსცემე. ამას მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: ჩემ ცოლთან გამაგზავნეს დასასვენებლათ. მე ცოლი 1915 წელს შევირთე, თუმცა რამდენიმე წლის წინათ მყავდა გაცნობილი ომის დაწყებამდე.

შვებულების გათავების შემდეგ ხელახლა ყაზარმაში უნდა დავბრუნებულიყავი. მეშინოდა ახალი შეტაკება მომხდარიყო უფროსებთან მეთქი და გზაზე თვითმკვლელობის სიმულიაცია მოვახდინე. სანიტარმა ლაიფციგის მთავარი სადგურიდან ლაზარეთში წამიყვანა, იქ სილა გავაწანი უმცროს ექიმს, რომელიც ტლანქათ მომეპყრო. 1918 წლის შემოდგომაზე სამსახურიდან დამითხოვეს, როგორც გამოუსადეგი და ომით დაზიანებული, და თვიურათ 40 მარკა დამინიშნეს.

მინდოდა ხელახლა ტექნიკოსის პროფესიას დავბრუნებოდი და მართლაც ერთ დიდ რკინაბეტონის საამშენებლო ფირმაში ვიშოვე ადგილი. ნოემბრის გადატრიალების წინა დღეებში მიულჰაუზენის მახლობლად ვმუშაობდი, ორიოდე ხაზის მანძილზე ფრონტიდან. ჩვენი ფირმა სამხედრო უწყების დაკვეთით საარტილერიო ბეტონის საფეხურებს და მავთულის ღობეებს ამზადებდა ისეთი რაოდენობით, რომ კაცს ეგონებოდა ომი კიდევ ოთხ-ხუთ წელიწადს გაგრძელდებაო.

## სამშობლოში დაბრუნება

7 ნოემბერს ნათესავებმა მაცნობეს ჩემი ცოლი მძიმეთ გახდა ავათო. შვებულება ავიღე და ელზასიდან სამშობლოსკენ გავეშურე. ამ ორი დღის მგზავრობის დროს, სტრასბურგისა, ფრანკფურტისა, კასელისა, ჰალესა და ხემნიცის მიმართულებით, ისეთი სურათები ვნახე, როგორიც წინათ არც დამესიზმრებოდა. მატარებლები გაჭედილი იყო უკან დაქანებული ჯარის ნაწილებით, მე ფრანკფურტში იძულებული გავხდი ფანჯრიდან ფეხისადგილში შევმძვრალიყავი და ორ მგზავრთან ერთად იქ დავრჩენილიყავი თითქმის უკანასკნელ სადგურამდე. პირველად ამ მგზავრობის დროს ვიგრძენი, რომ მასსას უზარმაზარი ძალა ჰქონია, რომ მას შესძლებია უაფიცროთ და უზემდეგოთ სიარული და მოქმედება, მხოლოდ მის ასამოძრავებლათ სხვა მიზნების დასახვაა საჭირო, ვიდრე წინანდელი ხელმძღვანელები უსახავდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობით შემეძლო ამ ძალებს მივწვდომოდი, რომელთა არსებობის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდი და რომელნიც შემუსვრას ემუქრებოდნენ ყველაფერს, რაც კი მათ გზაზე გადაეღობებოდა. ჯერ კიდევ არ შემეძლო ნათელი აზრები შემედგინა მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ, მხოლოდ ვგრძნობდი, რომ უფრო დიდი ვალდებულება მაწევებოდა, ვიდრე შინ დაბრუნება და ავადმყოფი ცოლის მოვლა. ამ წუთებში ჩემთვის ხელახლა გაცოცხლდნენ ის სიტყვები, რომელიც გეორგ შუმანმა მითხრა 1917 წელს, რუსეთის კამპანიის დროს, როცა იგი, როგორც პირველი სოციალისტი, შემხვდა ცხოვრების გზაზე.

ფრანკფურტსა, კასელსა და ჰალეში მე გავიგე, რომ გერმანელ მუშებსა და ჯარისკაცებს, რუსეთის მაგალითის მიბაძვით, მუშათა და გლეხთა საბჭოები შეედგინათ. იმ წუთებში გაგონილი და განცდილი ამბები ნამდვილი ახალი გამოცხადება იყო ჩემთვის.

## პირველი რევოლიუციური თვეები ფალკენშტაინში

9 ნოემბერს ფალკენშტაინში მივედი. პირველათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ამბავი ვიკითხე. ამის შესახებ იქ არაფერი ჰქონდათ გაგონილი. იმავე საღამოს პაწია ბარათებით ქალაქში მყოფი შვებული ჯარისკაცები და მუშები მოვიწვიე; თავი მოიყარა ოცდაათამდე კაცმა, მათ შორის იყო დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატების ადგილობრივი ბელადი — შტორლი, როცა მის შეკითხვაზე ვუპასუხე, რომ ამ კრების შემწეობით ფალკენშტაინში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დაარსება მსურს მეთქი, ჩვენს შორის უკვე წინააღმდეგობამ იჩინა თავი. შტორლმა კატეგორიულად განაცხადა, თუ ეს საჭიროდ აღმოჩნდა, ამ საქმე თვით მე მოვაგვარებო.

მაინც იმავე საღამოს ჯარისკაცთა და მუშათა საბჭო დაარსდა ფალკენშტაინში. თავმჯდომარეებათ შტორლთან ერთათ მეც ამირჩიეს. ჩვენ ოთახი მოვითხოვეთ თვითმმართველობის შენობაში, რათა იქ საბჭოს საქმეები გვეწარმოებია. ქალაქის მოურავმა განაცხადა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებებს ვსცნობ იმ პირობით, თუ შტორლი ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რომ მაქს ჰელცი საბჭოდან გააძევონო.

ორიოდე დღის შემდეგ საბჭოს რამდენიმე წევრთან ერთად ლაიფციგში წავედი თოფების მოსატანად. ლაიფციგის შტაბი უკვე დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ფლეისნერის, ლიპინსკის და სხ. ხელში იყო. დიდი წვალების შემდეგ ორიოდე თოფი ვიშოვე. მაგრამ როცა მესამე დღეს ფალკენშტაინში დავბრუნდი და იარაღი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადავეცი, გავიგე რომ შტორლს და მის მომხრეებს უკვე შეესრულებიათ მოურავის სურვილი და საბჭოს წევრობიდან გადავეყენებიეთ.

## გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიაში

გადავსწყვიტე სხვა გზით მემოქმედა რევოლიუციური საქმის გასაკეთებლად. „ლაიფციგერ ფოლქსცაიტუნგმა“ ქალაქ პლაუენში სტამბა მოაწყო და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების გაზეთი დაარსა მთელი ამ კუთხისთვის, სახელდობრ „ფოხტლენდიშე ფოლქსცაიტუნგი“, აქ გამოვცხადდი და თავდაპირველად ხელისმომწერლების შეგროვება დამაკისრეს. ამ სახლიდან სახლში, კიბიდან კიბეზე სიარულმა ბევრი რამ მომცა იმ მოძრაობის გასაგებათ, რომლისაც ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მესმოდა.

ჩქარა დამოუკიდებელთა პარტიაში შევედი და როცა ეროვნული კრების არჩევნებისთვის მზადება დაიწყო, პლაუენის ორგანიზაციამ მახლობელ დაბა-ქალაქებში გამგზავნა, რათა ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად კრებები მომეწვია და ორგანიზაციები დამეარსებია. ამრიგათ ჩემი მონაწილეობით ადგილობრივი ორგანიზაციები მოეწყო რაიხენბახსა, ნეჩკაუსა და მილაუში. რაიხენბახში 1919 იანვრის დღეებში, დამოუკიდებელთა პროკლამაციების გავრცელების დროს, სოციალ-დემოკრატიის ფანატიკოსებმა სასტიკათ მცემეს.

ცოტა ხნის შემდეგ წერილობით ვსთხოვე გეორგ შუმანს ფალკენშტაინს სტუმრებოდა და საჯარო კრებაზე ელაპარაკნა. მე მინდოდა არა მარტო მისი გავლენის გაძლიერება მასსებში, არამედ იმედი მქონდა, რომ მისი დახმარებით პირადათ გამოვარკვევდი ზოგიერთს საკითხს, რომლისთვისაც თავი ვერ გამერთმია.

## დამოუკიდებელთა პარტიიდან კომპარტიისკენ

შუმანმა მიპასუხა, სიამოვნებით შევასრულებდი თქვენს თხოვნას, მაგრამ დამოუკიდებელთა კრებაზე ლაპარაკი აღარ შემიძლია, მიტომ რომ ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიის კომპარტიას („სპარტაკის კავშირს“) მივემხრეო. მოვალ, თუ კომპარტიის სახელით მოიწვევთ კრებასო. ზოგიერთი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ეს კრება მოწვეულ იქნა. ფალკენშტაინელ მუშებს უკვე შეგნებული ჰქონდათ დამოუკიდებელთა პარტიის გაორება და გაუბედაობა, შუმანის სიტყვამ მათ შორის ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა; შემდეგ ჩვენს კუთხეში ამხ. შტაინერტმა დაიწყო მუშაობა, მისი აგიტაციის წყალობით ორიოდე თვის განმავლობაში მთელი ჩვენი პროვინცია, ეგრეთ წოდებული ფოხტლანდი, კომუნიზმის ციხე-სიმაგრეთ იქცა. ამხ. პაულ პოპთან და ამხ. ოიგენ შტაინერტთან ერთად 1919 წლის გაზაფხულზე კომპარტიის ორგანიზაცია დავაარსე ფალკენშტაინში. ამ ნაბიჯით მე პოლიტიკურათ საბოლოოდ ჩამოვყალიბდი და დიდი უკმაყოფილება გამოვიწვიე, როგორც ჩემს ნათესავებსა, ისე ძველ მეგობრებში.

ფალკენშტაინში ოთხი თუ ხუთი ათასი უმუშევარი იყო, ისინი შეეცადნენ ორგანიზაციულად დარაზმულიყვნენ, რათა რეაქციონერი მოურავი აეძულებიათ მათი ორიოდე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია.

ეკონომიური მდგომარეობა ფალკენშტაინში განსაკუთრებით რთული იყო. ომამდე ამ ქალაქში 7,000 სული ცხოვრობდა, აქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. ფოხტლანდის ნაქარგი, არშია და ფარდები გერმანიის საზღვრებს გადაღმაც იყო ცნობილი და ამ საქონლის ექსპორტი დიდათ აცხოველებდა ჩვენს სამრეწველო რაიონს. ფალკენშტაინი საგრძნობლად გაიზარდა ომის წინა წლებში, ახალი ქუჩები გაიჭრა, ახალი შენობები აიგო, ახალი ფაბრიკები და სახელოსნოები ამოცვივდა სოკოებივით.

მსოფლიო ომის დაწყებამ ამ აყვავებას ბოლო მოუღო. ჯარში გაწვეული ქარგავები და მქსოველები, მათი ცოლები და ქალები უქმათ დარჩნენ, მიტომ რომ როგორც ნედლი მასალის შემოზიდვა, ისე დამზადებული ნაწარმოების გაზიდვა სავსებით შესწყდა. რამდენიმე ათასი მეურნეობა და ოჯახი განადგურდა. ხოლო რის განადგურებაც ფალკენშტაინში ომმა ვერ შესძლო, ის ქალაქის მოურავის—კვეკის სულმოკლეობის და სიბეცის წყალობით მოისპო.

როცა გაჭირვებული და დამშეული დედაკაცები მოურავს აყვედრიდნენ, რომ, მაგალითად, ნახევარი საათის მანძილით დაშორებულ ქალაქ აუერბახში ეკონომიური მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე ფალკენშტაინშიო, კვეკი ჯოხს სტაცებდა ხელს და არაჭამთგამოლეულ ქალებს ცემასა და კიბეზე გადაგდებას ემუქრებოდა.

## უმუშევართა ორგანიზაცია

ჩემი ბინის მახლობლად ეგრეთ წოდებული ქალაქის სახალხო სამზარეულო იყო, სადაც ქალები, ბავშვები და უმუშევრები ათობით მოდიოდნენ, რათა ორიოდე ლუკმა პური მიეღოთ. ყოველდღე ერთსა და იმავე სურათს ვუცქეროდი ფანჯრიდან. ღარიბი მოსახლეობა მიცნობდა ჩემი ხანმოკლე მოღვაწეობის წყალობით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში. ერთს მშვენიერ დღეს მთხოვეს უმუშევართა კრებაზე მელაპარაკა. იქ მოხდა ჩემი არჩევა უმუშევართა კომიტეტში. და აი ამ დღიდან უფრო გრძნობის, ვიდრე მოსაზრების ზეგავლენით მე ისეთმა მუშაობამ გამიტაცა, რომელმაც ჩქარა სრულიად ამომაგდო ნორმალური მოქალაქეობრივი კალაპოტიდან.

ეს უმუშევართა კრება პირველი დიდი შემთხვევა იყო, როცა მე გამოვედი, როგორც ორატორი. ამასთანავე იგი იყო დასაწყისი ჩემი ხანგრძლივი არალეგალობისა და შინაგანი და გარეგანი ბრძოლებისა, რომელთაც მე მასსიურ რევოლიუციურ მოძრაობას მიმაჯაჭვეს.

კრების დასრულების შემდეგ დიდი სადემონსტრაციო პროცესია გაემართა თვითმმართველობის შენობისკენ, ამ პროცესიამ სულიერი მყუდროობა დაურღვია როგორც მოურავს, ისე ქალაქის საბჭოს.

როცა მე მოურავს ხუთი ათასი უმუშევარის წინაშე დავუმტკიცე, რომ უკულმართი პოლიტიკის წყალობით სიკვდილი მოსახლეობას ფალკენშტაინში უფრო სასტიკათ სცელავს, ვიდრე სხვაგან ფოხტლანდის პროვინციაში მეთქი, მან განაცხადა: მე არ ვიცოდი, რომ გაჭირვება ასეთი დიდი ყოფილაო. საჭირო გახდა მისთვის დამშეული ქალების და ბავშვების დამზრალი ხელები და ფეხები გვეჩვენებია. ისინი იძულებულნი იყვნენ საშინელ სიცივეში მთელი საათობით რიგში მდგარიყვნენ სამზარეულოს შესავალთან, რათა ბოლოს ნახევარი ლიტრი კომბოსტოს ნახარში ან ორიოდე გირვანქა კარტოფილი მიეღოთ. მეზობელ დაბა-ქალაქებში, უკეთესი კომუნალური საქმიანობის წყალობით, უმუშევართა გაჭირვება ამდენათ მძაფრი როდი იყო.

**მაქს ჰელცი**

**(გაგრძელება იქნება)**

# როგორ ებრძოდნენ ბათომის მუშები ინგლისელ იმპერიალისტებს და ქართველ მენშევიკებს

## ქ. ბერძენიშვილი

წელს შესრულდა 10 წელი, რაც ბათომში პირველად შემოვიდა ინგლისის საოკუპაციო ჯარი. „სამთა“ შეთანხმების დამარცხების შემდეგ ოსმალეთის და გერმანიის ჯარების ადგილი ინგლისის ჯარმა დაიკავა. ინგლისელების ბატონობა მთელ ამიერ-კავკასიაზე გავრცელდა. ეგრედ წოდებული „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკების მთავრობები, მხოლოდ ფიქცია იყო. ინგლისელების სრულ მფლობელობაში მოექცა ყოფილი ბათომის და ართვინის ოლქებიც.

ინგლისის საოკუპაციო ჯარის ბათომში გაბატონებას მრავალი მიზანი ჰქონდა: ერთი, დენიკინის ჯარის ზურგის გამაგრება და ბათომის გამოყენება თეთრგვარდიელთა ბაზათ; მეორე, ბათომის საშვალებით ბაქოს ნავთის და სურსათ-ხორბლეულობის გაზიდვა (უმთავრესათ ბრინჯი).

ბათომში შეიქმნა ე. წ. „საოლქო თვითმმართველობა“ კადეტ მასლოვის თავმჯდომარეობით. მთავრობა შესდგებოდა მონარქისტებისაგან. ინგლისელებმა აჭარელ შავრაზმელების ორგანიზაციის „სედაია მილეთის“ საშვალებით წამოაყენეს აჭარისტანის ცალკე ერთეულად გამოყოფის ლოზუნგი. ეს მათ ესაჭიროებოდათ ერთის მხრივ ოლქის შესანარჩუნებლად, მეორე — ბოლშევიკების წინაალმდეგ საბრძოლველად.



დატყვევებული ბათომელი ბოლშევიკების ჯგუფი დრედნოუტზე „როიალ სოვერნ“ პ. კობიძე, გ. რამიშვილი, დიმიტრიევი, პ. ნოდია, ქ. ბერძენიშვილი, დ. მახარაძე, ა. ბლიუმზაკი, მ. მარკმანი, მ. ბელენკი. მ. თუმანოვი.

ბოლშევიკების ორგანიზაცია თუმცა დასუსტებული იყო თურქების ოკუპაციის დროს შექმნილი მდგომარეობით და მენშევიკების პროვოკაციის წყალობით, მაგრამ მან მაინც შესძლო ბათომის მუშების და მოსამსახურეთა ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება. ორგანიზაციის წინაშე დაისვა ბათომის საოლქო თვითმმართველობის მოსპობის საკითხი. ამ მიზნით 1919 წ. მარტში თუ აპრილში ჩატარდა გენერალური გაფიცვა, რომელსაც შემდეგ მენშევიკებიც მიეკედლენ. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ გაფიცვაზე რეპრესიებით უპასუხა. საგაფიცვო კომიტეტის მთელი შემადგენლობა დაატუსაღეს და მოათავსეს ჯერ დრედნოუტზე შემდეგ კი „სტეპანოვკის“ ფორტზე. ტუსაღობის დროს გარდაიცვალა ამხ. სოროკინი; ვფიქრობ, რომ ინგლისელებმა აწამეს. მისი დამარხვა გადაიქცა გრანდიოზულ დემონსტრაციათ ინგლისის საოკუპაციო მთავრობის წინაალმდეგ. გაფიცვა ბათომის მუშებმა მოიგეს. თითქმის ყველა მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს ინგლისელებმა, მათ შორის ბათომის საოლქო „თვითმმართველობის“ („მთავრობის“) გაუქმება.

ამ გამარჯვებამ უფრო მეტად წაახალისა ჩვენი ამხანაგები. დაიწყო ენერგიული მუშაობა მუშების შესაკავშირებლად. საჭირო იყო მასების ჩამოშორება მენშევიკებისაგან. ეს ამოცანა ბათომის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ბრწყინვალედ შეასრულა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბათომის გენერალურ-გუბერნატორად დანიშნულმა გენერალმა კუკ-კოლისმა გემიდან, ბათომის ნაპირზე ჩამოდგა ფეხი, განაცხადა: „ყველას მიეცემა თავისუფლად სუნთქვის საშვალება, გარდა ბოლშევიკებისა“. ეს იყო ოკუპანტების პროგრამა და შეძლებისდაგვარად ისინი ამ პროგრამას ანხორციელებდენ.

***

მენშევიკებს გამოეცალა ნიადაგი ბათომის მუშა-მოსამსახურეებში. გავლენის დაკარგვის გამო მათ მთავარი ყურადღება მიაქციეს ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებს და მ. სში გამარჯვებით ცდილობდნენ პოლიტიკური ხელმძღვანელობის შენარჩუნებას. ჩვენმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ბათომის მუშა მოსამსახურეებს ჰყავდა თავისი ორგანო—ბათომის პროფკავშირთა საბჭო, მეორეთ კი იმიტომ, რომ არჩევნების სისტემა ყოვლად მიუღებელი იყო.

მენშევიკებს ამ არჩევნების დროს სასაცილო ამბავი დაემართა. გაზეთმა „ბორბამ“, როგორც კი მიიღო ცნობა ქართულ ბლოკის (მენშევიკები. ნაც. დემოკრატები, სოც. ფედერალისტები, სამუსლიმანო საქართველოს ჯგუფი, ესერები) გამარჯვების შესახებ არჩევნებში, მოათავსა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „ბათომის არჩევნებს საფუძვლად დაედო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო კენჭის ყრა სიებით, პროპორციონალურ წარმომადგენლობის მიხედვით. ხმის უფლებით სარგებლობდნენ ყველა მცხოვრებლები 25 წელზე ზევით. თუ უკუვაგდებთ წლოვანების ანტიდემოკრატულ ცენზს, იყო დაწესებული მხოლოდ ერთი სრულიად სამართლიანი, დემოკრატიულ პრინციპზე აგებული შეეიწროვება: ხმის უფლებას მოკლებული იყო მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის შემთხვევითი ელემენტი“... („ბორბა“, 1920 წ. 3/III № 50).

მეორე დღეს კი გაზ. „ერთობა“ — ამავე არჩევნებზე სწერდა: „გენერალ-გუბერნატორის მიერ გამომუშავებულმა საარჩევნო კანონმა ქართველების უმეტესობას წაართვა ხმის უფლება. სრულიად არ ჰქონდა ხმის უფლება ბარცხანაში და განაპირა უბნებში მცხოვრებთ, აგრეთვე მათ, ვინც ვერ მიაღწია 25 წელს ან არ სცხოვრობდა ბათომში მის აღებამდე“.

აი სწორეთ ამაზე ითქმის, რომ „მარჯვენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარცხენაო“.

***

საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ დენიკინზე, ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დასვა ბათომის ბედ-იღბალის საკითხი.

ბათომის პროფკავშირთა საბჭოს არა ერთხელ გაუკეთებია დეკლარატიული განცხადება, რომ ერთად ერთი მთავრობა, რომელიც სურს ბათომის მშრომელებს, არის საბჭოთა მთავრობა. თეთრგვარდიელებზე საბჭოთა ჯარების გამარჯვებასთან ერთად გავრცელდა ხმა ინგლისელების ბათომიდან წასვლის შესახებ. 22 აპრილს (1920 წ.) შესდგა საბჭოს სხდომა, რომელზედაც ეს სურვილი განმეორდა. ამ სხდომაზე მენშევიკებმა სცადეს ჩვენთვის წინაალმდეგობის გაწევა. მათ მოიწვიეს აიოლლო (ბაქოს 26 კომმუნარის ცნობილი გამცემი), მათ გამოსვლას მუშები დაცინვით შეხვდნენ და მიიღეს ბოლშევიკების მიერ წამოყენებული რეზოლიუცია.

***

პარტიული ხაზით ჩვენ გაცხოველებულ მუშაობას ვაწარმოებდით. არალეგალური მუშაობა იყოფოდა 2 ნაწილად: ერთი ტერორისტულ-დამნგრევი. მეორე აგიტ-პროპაგანდისტული.

პირველ ამოცანას მიზნათ ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე უფრო საშიშ მტრების მოსპობა, რკინის გზების დანგრევა და გემების აფეთქება, რათა თეთრების ჯარს ვერ მიეღო ნავთის პროდუქტები, სურსათ-სანოვაგე, ამუნიცია და ტყვია-წამალი, რაც უხვათ მიდიოდა ვრანგელ-დენიკინს „დამოუკიდებელ“ მენშევიკურ რესპუბლიკიდან, მოკავშირეების ბრძანებით.

ჯერ კიდევ 1919 წელს ამხ. კამო გამოემგზავრა მოსკოვიდან დენიკინზე ტერორისტულ აქტის მოსახდენად. მან გადმოლახა კასპიის ზღვა, გაიარა მუსსავატური აზერბეიჯანი, ჩამოვიდა თბილისში. ჯოჯოხეთის მანქანები და იარაღები მოსკოვიდან წამოღებული, გადაგზავნა ბათომში. ამხ. კამოს შესაძლებელ მოგზაურობის შესახებ ბათომის საოლქო კომიტეტმა

იცოდა. განზრახული იყო კამოსათვის მოტორიანი ნავის შეძენა, ნავი დაიტვირთებოდა საქონლით და კამო როგორც ვაჭარი ჩავიდოდა ყუბანში. მაგრამ თბილისის სადგურზე (ბათომში წასვლის დროს) ამხ. კამოს დატუსაღებამ ჩაშალა დაწყებული საქმე. იარაღები და ჯოჯოხეთის მანქანები შემდეგ შევაგროვეთ და გამოვიყენეთ სხვადასხვა საქმეებზე.

ასაფეთქებელ მუშაობას აწარმოებდა ამხ. ნიკოლაი. 1919 წ. ის ცდილობდა ყუმბარების საწყობის აფეთქებას, მაგრამ ჩავარდა და დიდის ვაი-ვაგლახით შესძლო ორგანიზაციამ მისი გამოსყიდვა. შემდეგში ასაფეთქებელ მუშაობას ამხ. ბელენკი ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით აფეთქდა რკინის გზის კინტრიშის ხიდი და გემი „ვოზროჟდენიე". ჩვენი დატუსაღების შემდეგ კი ამხ. ნიკოლაიმ ააფეთქა გემი „სვეტ", რომელიც თითქმის ერთ კვირას იწოდა (დატვირთული იყო ნავთით) გემი ჩაიძირა ბათომის რეიდზე.

კინტრიშის რკინის გზის ხიდის აფეთქების დროს გასკდა ნავთსადენის მილები, ნავთი დაიღვარა, ნავთის გადაქაჩვა კი 12 დღით შესწყდა. რკინის გზის მოძრაობაც 10 დღით იყო შეწყვეტილი. ხიდის აფეთქებაში მონაწილეობას ღებულობდენ ამხ. ბელინსკი, (ბელენკი) ნიკოლაი, სურგულაძე, ჯიბლაძე, ძმები კუზნეცოვები. (ძმები კუზნეცოვები მსახურობდნენ ქობულეთის სანაპირო რაზმში, დაარსეს იქ ჩვენი უჯრედი. ბაქოს გასაბჭოების შემდეგ გაიპარნენ ქობულეთიდან, მაგრამ ისინი სამტრედიაში დაატუსაღეს მენშევიკებმა).

***

ამ ამბების ცოტა უფრო ადრე—ორგანიზაციის დადგენილებით მოკლულ იქნა პროვოკატორი რუდამაზინი. ის არ იყო მაინც და მაინც ჩვენი ორგანიზაციის აქტიური წევრი, მაგრამ ზოგიერთ ამხანაგებთან იყო დაკავშირებული და შეეძლო ჩვენთვის დიდი ზიანის მოყენება. ის იყო მაზინჯაურის მცხოვრები, განიცდიდა მატერიალურ სიღარიბეს. ამით ისარგებლეს მამედ ბეგ-აბაშიძემ და მენშევიკური კონტრდაზვერვის უფროსმა ციციანოვმა. შეჰპირდნენ მას ადგილს თბილისში და ფულის მიცემას. სამაგიეროთ რუდამაზინს უნდა გაეცა ჩვენი ორგანიზაცია. მან პირობა შეასრულა და აცნობა მენშევიკების კონტრ-დაზვერვას, რაც იცოდა და რაც არ იცოდა. მენშევიკებმა გამოაქვეყნეს რუდამაზინის მიერ მიწოდებული ცნობები, რომელთა შინაარსმა ნათელი გახადა ჩვენთვის, თუ ვინ იყო პროვოკატორი. ცნობების გამოქვეყნების შემდეგ რუდამაზინი აპირებდა თბილისში წასვლას, რათა შეპირების თანახმად მიეღო ადგილი და ფული; სათანადო მოწმობა მას მენშევიკების ბათომელმა კომისარმა ალნიაშვილმა, მამედ ბეგ-აბაშიძემ და ციციანოვმა მისცეს (ეს მოწმობა რუდამაზინმა შემდეგ გვიჩვენა ჩვენ), მაგრამ მისდა საუბედუროდ რუდამაზინმა ჩვენთან შემოიარა პროფსაბჭოში ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის „იაკის" მისაღებად. რუდამაზინი დავაკავეთ. წაიყვანეს ქალაქ გარეთ და 2 დღის პატიმრობის შემდეგ დახვრეტილ იქნა. რასაკვირველია, ის ყველაფერში გამოტყდა.

***

ახლოვდებოდა 1920 წ. 1 მაისი. ჩვენი პარტია რაზმავდა მუშებს. არ დარჩენილა არც ერთი მუშა და მოსამსახურე პროფკავშირში შეუკავშირებელი. თვით ინგლისელების მიერ ჩამოყვანილი კრიტოსის და კიპროსის ბერძნები ჩავაბით მუშაობაში. ჩინელებიც შევაკავშირეთ. ყველა პროფკავშირები (გარდა ხელზე მოსამსახურეთა პროფკავშირისა) ჩვენი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

პროფკავშირთა საბჭოს სათავეში კი მენშევიკ-ინტერნაციონალისტები გვყავდა. 22 აპრილს სხდომაზე საბჭოს პრეზიდიუმი გადავარჩიეთ, გავიყვანეთ მხოლოდ ჩვენი ამხანაგები.

1 მაისის წინა დღით განსვენებულ ამხ. ს. გუბელის (ს. კორძაძე, იგივე ს. მეძმარიაშვილი) ხელმძღვანელობით მოახდინეს თავდასხმა გენ. ლიახოვზე. ის მძიმედ დაიჭრა და მეორე დღეს გარდაიცვალა. გენ. ლიახოვი სპარსეთის რევოლიუციის ჯალათი, აჭარლების ამწიოკებელი და წითელი ჯარის წინაალმდეგ აქტიური მებრძოლი, ღირსეულად იქნა დასჯილი.

1 მაისის დემონსტრაცია გრანდიოზული იყო. დემონსტრანტების მოთხოვნით გენ. კუკ-კოლისმა გაანთავისუფლა ამხ. ს. გუბელი, რომელიც ბათომის მშრომელებში დიდის პატივისცემით სარგებლობდა. ციხიდან მის განთავისუფლებას მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ. იმავე საღამოს ამხ. გუბელი თბილისში გავაპარეთ.

მეორე დღეს კუკ-კოლისთან მხოლოდ თავმდები დელეგაცია გამოცხადდა. ინგლისელების გაბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ რას იზამდნენ.



**ამ სახლში იყო მოთავსებული 1919-20 წ. წ. ბათომის პროფკავშირთა საბჭო**

***

1 მაისის შემდეგ დავაარსეთ საქონლის გატანის მომწესრიგებელი კომისია ამხ. პ. ნოდიას, დიმიტრიევიჩის და ერთი მეზღვაურის შემადგენლობით. კომისიის უნებართვოთ არც ერთი გირვანქა საქონლის გატანა არ შეიძლებოდა ბათომიდან. ჩვენ მოველოდით ამიერ-კავკასიის გასაბჭოებას; არა მარტო ჩვენ, ამას სპეკულიანტ-კომერსანტებიც გრძნობდნენ და სტამბოლში საქონელი გაჰქონდათ. ამავე დროს ეროპიდან უხვად ეგზავნებოდა ყველაფერი. აი ყოველივე ამისათვის ხელის შესაშლელად შეიქმნა კომისია.

ბათომის მუშები ბრწყინვალედ ატარებდნენ ჩვენ დადგენილებას და მიუხედავათ იმისა, რომ ის მატერიალურად მათთვის საზიანო იყო, არ ეზიდებოდნენ ტვირთს, თუ კი ჩვენი ნებართვა არ იყო. ყველაზე უფრო შეუკავშირებელი მასა, მეკურტნეები კი ბრწყინვალედ ატარებდენ ცხოვრებაში პროფსაბჭოს გადაწყვეტილებას.

ამ გარემოებამ გამოიწვია კომერსანტების აღშფოთება; ისინი ეკითხებოდნენ ინგლისელებს: „ვინ არის მთავრობა, თქვენ თუ ბოლშევიკებიო ?. ინგლისელებიც ვერ ურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას. გამოიწვიეს პროფსაბჭოს მუშაკები და გააფრთხილეს, რომ „მისი უდიდებულესობის ინგლისის მეფის მთავარსარდლობა ვერ დაუშვებს ინგლისის ფლაგის ქვეშ მეორე მთავრობის არსებობას"-ო.

კომისია მაინც სხვადასხვა ხრიკებით განაგრძობდა ოფიციალურ მუშაობას 6 დღე, სანამ ინგლისელებმა არ დაატუსაღა პროფკავშირთა საბჭო, რაც 8 მაისს მოხდა. გენ. კუკ-კოლისმა პროფმუშაკები მოიწვია მოსალაპარაკებლად, ვითომც საქონლის გატანის მოწესრიგების საკითხზე, და იქ ყველა დაატუსაღა. ჩვენ, რასაკვირველია, დავუშვით შეცდომა: არ უნდა გამოვცხადებულიყავით.

ჩვენი დატუსაღების შემდეგ (დატუსაღებულ იქნა მთელი აქტივი) დარჩენილმა ამხანაგებმა სცადეს გაფიცვის მოწყობა, მაგრამ გაფიცვა საერთო არ გამოვიდა. აქ ამხანაგებმა დაუშვეს შეცდომა: დაიწყეს მენშევიკებთან მოლაპარაკება საერთო გაფიცვის მოსაწყობად. ეს იყო საშინელი შეცდომა, ყოვლად გაუმართლებელი, რადგან მენშევიკებს არავითარი გავლენა არ ჰქონდათ მუშებში, ხელის შეშლა კი შეეძლოთ. მელია აილომ დაიწყო აგიტაცია გაფიცვის საწინააღმდეგოდ. ჩვენებს ძალები არ დაურჩა და გაფიცვა ჩაიშალა. ჩვენი დატუსაღების გამო და გაფიცვის სასარგებლოდ ამხანაგებმა 2 მოწოდების გამოშვება შესძლეს. სულ სხვადასხვა დროს ინგლისელებმა 22 ამხანაგი დაატუსაღეს.

ჩვენ დაგვსვეს ინგლისის დრედნოუტზე და გაგვგზავნეს ჯერ სტამბოლში, შემდეგ ჩანაკ-კალეში (დარდანელი). 6 თვის ტუსაღობის შემდეგ გაგვცვალეს ბაქოში დატყვევებულ ინგლისის მისიის წევრებზე.

ჩვენი განთავისუფლება მოხდა ამხ. კრასინის ჩარევის შემდეგ. 13 ოქტომბერს მან სპეციალური ნოტა გადასცა ბრიტანეთის მთავრობას და საბჭოთა მთავრობის სახელით მოსთხოვა ჩვენი განთავისუფლება.

1920 წლის 8 ნოემბერს ჩვენ უკვე ოდესაში ვიყავით, თავისუფალნი, თავისუფალ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიწა-წყალზე.

**კ. ბერძენიშვილი.**

## ახალი არქიტექტურა



**ახალი ტიპის სახლები პარიზში**

# გონებრივ შხამის ფაბრიკები

## ბურჟუაზიული პრესის სახე

ე. წ—ძე.

ბეჭდვითი სიტყვის ტეხნიკის განვითარების წყალობით პრესა ბურჟუაზიის ხელში გადაიქცა არა მარტო პროპაგანდის მძლავრ იარაღად, არამედ ისეთივე შემოსავლის წყაროთ, როგორც რომელიმე ფაბრიკა-ქარხანა. კაპიტალისტი, რომელიც აარსებს გაზეთს, დარწმუნებულია არა მარტო იმაში, რომ ამ გაზეთის საშუალებით გააკეთებს თავისი კლასის საქმეს, არამედ იმაშიც, რომ გაიჩინა გამდიდრების ახალი წყარო.

***

როგორ ასრულებს ბურჟუაზიული პრესა თავის ორ ამოცანას, თავისი კლასის სამსახურს და ჯიბეების გასქელებას თავისი პატრონებისათვის? საკმაოა გავეცნოთ კაპიტალისტური პრესის ორგანიზაციულ სტრუქტურას და მის ყოველდღიურ საქმიანობას, რომ ეს ნათელი შეიქნეს ჩვენთვის. ამისათვის ჩვენ არ დაგვჭირდება თითეული ცალკე ბურჟუაზიული გაზეთის ან ცალკე სახელმწიფოთა კაპიტალისტური პრესის გაცნობა, საკმაოა გავეცნოთ რამდენიმე მთავარ სახელმწიფოს კაპიტალისტურ პრესის კანონმდებლებს, ტონის მიმცემთ.

კაპიტალისტები იმ მიზნით, რომ უკეთ იბრძოლონ ბ ა ზ რ ი ს ა თ ვ ი ს, ქმნიან მ ძ ლ ა ვ რ კარტელებს და ტრესტებს. პრესაც ვერ გაექცა ტრესტიზაციის ამ პროცესს და ახლა მთელ რიგ ქვეყნებში გაზეთები და გაზეთების მთელი ჯგუფები ტრესტშია გაერთიანებული. ეს ტრესტიზაცია ე რ თ ი ს მხრივ საშუალებას აძლევს გაზეთების ფაქტიურ ბატონ-პატრონთ მინიმუმამდე შეამცირონ საგამომცემლო ხარჯები და მეორეს მხრივ —უფრო გეგმაშეწონილი და მტკიცე იერიშები მიიტანონ „საზოგადოებრივ აზრზე“ — კაპიტალისტთა ცალკე ჯგუფების და საერთოდ ბურჟუაზიული „წესრიგის“ ინტერესებისათვის.

პ რ ე ს ი ს ტრესტიზაციის დარგში პირველი ადგილი, ეჭვს გარეშეა, უჭირავს შეერთებულ შტატებს. 1927 წლ. 1-ლ იანვრისათვის, ამხ. ო. ვიქტოროვის ცნობით („ჟურნალისტი“ № 2, 1927 წ.), **შეერთებულ შტატებში** არსებობდა 55 საგაზეთო ტრესტი, რომელთა განკარგულებაში იყო 328 გაზეთი, მათ შორის— 89 კვირეული. ტრესტებში გაერთიანებულ ამ გაზეთების ტირაჟი კვირაობით უდრიდა 25.444.033 ცალს.

გაზეთების რაოდენობის მხრივ შეერთებულ შტატებში პირველი ადგილი უჭირავს სკრიპს-გოვარდის ტრესტს, რომელსაც უმთავრესად პროვინციაში მოეპოვება (ცნობები ეკუთვნის 1927 წელს), 26 ყოველდღიური და 10 საკვირაო გაზეთი. მაგრამ ტირაჟის მხრივ პირველ ადგილზეა ცნობილი ხ ე რ ს ტ ი ს პრესა. მის განკარგულებაშია მხოლოდ 25 გაზეთი, რომელთა ტირაჟი თითქმის ორჯერ სჭარბობს სკრიპს-გოვარდის პრესის ტირაჟს. მეორე ადგილი ტირაჟის მხრივ უჭირავს პეტერსონ-მაკ-კორმიკის ტრესტს, რომლის განკარგულებაშია მხოლოდ ორი გაზეთი.



**რ. შლიხტერი. ბურჟუაზიული პრესა იქექება პოლიტიკურ ნაგავში.** („ლიტ. გაზ.“)

საინტერესოა ამ ტრესტის ყოველდღიური და ყოველკვირეული 53 გაზეთის ტირაჟი:

| | ყოველ-დღიურის | საკვირაო | სულ ერთობით |
|---|---|---|---|
| სკრიპს-გოვარდის გაზეთების . | 1.868.686 | 407.000 | 2.275.686 |
| ხერსტის გაზეთების . . . | 4.391.330 | 4.635.212 | 9.026.542 |
| პეტერსონ-მაკ-კორმიკის გაზეთების . . . | 2.294.173 | — | — |
| | 8.554.189 | 5.042.212 | 13.596.401 |

ეს სამი ტრესტი ფაქტიურად მონოპოლისტია საგაზეთო ბაზარზე. მათი ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი შეადგენს შეერთებულ შტატების ყველა ყოველდღიური გაზეთის ტირაჟის 24 პროცენტს, ყოველკვირეულის კი—თითქმის ოც პროცენტს.

**ინგლისში** საგაზეთო ბაზარზე ბატონობს სამი ტრესტი: 1) ლორდ ბ ი ვ ე რ ბ რ უ კ ი ს— საზოგადოება „ნიუსპეიპერ ლიმიტედ“, 2) ლორდ რ ო ტ ე რ მ ი რ ი ს — „ასოშიიტედ ნიუსპეიპერს ლიმიტედ“ და 3) ძმ. ბ ე რ რ ი ს.

ლორდ ბივერბრუკის გაზეთებიდან ყველაზე გავრცელებულია „დეილი ექსპრესი“, რომლის ტირაჟი მილიონამდე აღწევს; ლორდ როტერმირს ეკუთვნის ცნობილი „დეილი მეილ“, რომელმაც ჭორებისა და ცილისწამების ზღვა დააყენა საბჭოთა წარმომადგენლობისა და საბჭოთა ნავთის წინაალმდეგ, ძმ. ბერრის ეკუთვნის უმთავრესად პროვინციალური პრესა.

ტრესტიზაციის პროცესი შეუჩერებლად ვრცელდება ინგლისის პროვინციალურ პრესაზე. ჯერ კიდევ წარსულ წელს ლორდი როტერმირი შეუდგა მძლავრი პროვინციალური საგაზეთო ტრესტის—„ნორტკლიფ ნიუსპეიპერს ლიმიტედ“-ის შექმნას $7^1/_2$ მილიონ სტერლინგ კაპიტალით. ამ ტრესტს განზრახული ჰქონდა მთელ რიგ საკუთარი გაზეთების გამოშვება პროვინციაში (ადგილობრივი გაზეთების შეძენის და ახლების დაარსების გზით).

**გერმანიაშიც** საგაზეთო ბაზარზე ბატონობს „სამება“—გუგენბერგ—ულშტეინ—მოსსე.

გუგენბერგის პრესა—გარდა იმისა, რომ დიდ მოგებას აძლევს თავის პატრონს, წარმოადგენს მონარქისტულ-ფაშისტური პროპაგანდის იარაღს. თვით ალფრედ გუგენბერგი გერმანიის ნაციონალისტთა პარტიის ახლანდელი ლიდერი, ცნობილია, როგორც გერმანელი შუბლმაგარი. ნაციონალისტების ყველაზე ურეაქციონერესი ფრთის სული და გული.

გუგენბერგს აქვს არა მარტო საკუთარი გაზეთები; იგი ათასგვარი გზებით ზეგავლენას ახდენს 1600-მდე სხვა გერმანულ გაზეთზე, რომლებსაც თავისი დეპეშათა სააგენტოს საშუალებით აწვდის ინფორმაციას, სააქციო საზ-ბა „ვერას“ საშუალებით—მანქანებს, ბანკ „მუტუუმ“-ის საშუალებით,—ფინანსებს, ქაღალდს და სხვ. ერთი სიტყვით, მის განკარგულებაშია მთელი რიგი ძაფები, რომელთა საშუალებით იგი ფიქტიურ კონტროლს ახორციელებს გერმანიის პრესის დიდ ნაწილზე.

გერმანიის მეორე თვალსაჩინო ფიგურა გერმანიის პრესის ფრონტზე არის უ ლ შ ტ ე ი ნ ი თუ რა ფართედ აქვს დაყენებული ამ გამომცემლობას საქმე, სჩანს მარტო იქიდან, რომ მას უჭირავს მთელი უბანი, 4.500 ოთახი.

„...უ ლ შ ტ ე ი ნ ი, როგორც მოხერხებული დიასახლისი ქუჩაში გზავნის ათეულ გაზეთებს, სხვადა სხვანაირად მ ო რ თულთ; სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ, რომლებიც სხვადასხვა დროს გამო დიან და ერთმანეთს არ უშლიან ხელს, როგორც პროსტიტუტკებმა მათ გაიყვეს ქუჩა და არ ეშლებიან ერთმანეთს, თითეულს თავისი მომხმარებელი ჰყავს“ — ასე ასწერდა განსვენებული ჟურნალისტი ქალი ლარისა რეისნერ ულშტეინის საგამომცემლო საქმიანობას. წვრილი ბურჟუაზიის ფართე ფენებისათვის ულშტეინს აქვს დილის „ბერლინერ მორგენ-პოსტი“; მსხვილი ბურჟუაზიისათვის—„ფოსსიშე ცეიტუნგ“; ბირჟევიკებისა და კომერსანტებისათვის „ბე—ცეტ“ („ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტტაგ“); ქალებისათვის —„პრაქტიკული დიასახლისი“, „ქალბატონი“, „იაფი ვაჭრობის უწყება“; მეშჩანური წრეებისათვის—დასურათებული გაზეთი და სხვ.

რ უ დ ო ლ ფ მ ო ს ს ე ითვლება გერმანიის მესამე საგაზეთო მეფედ. მისი „ბერლინერ ტაგებლატ“ გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. მასვე აქვს ჩაგდებული ხელთ სხვადასხვა ცნობარების გამოცემის მონოპოლია.

ჩამოთვლილი სამი სახელმწიფო პრესის ტრესტიზაციის კლასიკურ ქვეყნებს წარმოადგენს.

ზემოთ ჩვენ გავეცანით მთავარ საგაზეთო ტრესტებს, რითაც მკითხველისათვის ნაწილობრივ ნათელი ხდება კაპიტალისტური პრესის გავლენის „საიდუმლოება“. ეჭვს გარეშეა, რომ საგაზეთო ტრესტი, რომელიც თავის ხელში თავს უყრის და კონტროლს უწევს მთელ რიგ გავლენიან და მრავალ ტირაჟიან გაზეთებს, უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, კაპიტალიზმის ზედა ფენებს უმორჩილებს არა მარტო წვრილ-ბურჟუაზიულ მასებს, არამედ ხრწნის მუშათა კლასის საკმაოდ დიდი ნაწილის კლასობრივ შეგნებასაც.

იმ დროს, როცა მუშათა პრესა ბურჟუაზიულ ქვეყანაში სუსტია (ტეხნიკურად, ფინანსიურად) და ამავე დროს სასტიკ რეპრესიებს განიცდის, რის გამო მისი ხმა სრულიად ყრუვდება ბურჟუაზიული პრესის ღმუილში, კაპიტალისტების და ბირჟევიკების პრესა, სარგებლობს რა თავისი ტეხნიკური და მატერიალური უპირატესობით, ყოველდღე იმას ჩასჩიჩინებს თავის მკითხველებს, რომ კლასთა ბრძოლა ეს ანარქისტ კომუნისტების გამოგონებაა, რომ სადმე გამოცხადებული გაფიცვა—„ბოროტგანმზრახველების“ საქმეა, რომ უკეთესი ცხოვრების მოწყობა შეიძლება არა კაპიტალისტური საზოგადოების თანხმობით, არამედ ამ საზოგადოებაში „შეზრდით“, „მომჭირნეობით“ და „კეთილგონიერებით“. ათასგვარი წვრილმანებით, ბურჟუაზიული პრესა კაცობრიობის გაჟვლეფილი ნაწილის ყურადღებას აცილებს კლასობრივი ბრძოლის საკითხებს. ხშირად ბურჟუაზიული გაზეთები ოფიციალურად არ ატარებენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იარლიკს, გარეგნობით თითქო „ზეპარტიული“ არიან, მაგრამ ისინი „ცალკ-ცალკე და ყველა ერთად“ ემსახურებიან ერთ დიდ პარტიას—კაპიტალისტების და ბირჟევიკების პარტიას. „წმინდა პოლიტიკა“ ზოგი ბურჟუაზიული გაზეთების ფურცლებიდან თითქმის განდევნილია, მაგრამ პოლიტიკის ეს „ექსორია“ მხოლოდ მოჩვენებითია: ყოველი წვრიმალი, უბრალო ქრონიკაც კი ისეა ზედგენილი, როგორც ეს ხელსაყრელია კაპიტალისტებისა და ბირჟევიკებისათვის.

ბურჟუაზიული გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ რაც შეიძლება მეტი მკითხველი იშოვონ. განსაკუთრებით მუშებში, და წვრილი ბურჟუაზიის ბანაკში. დაწყებული იქედან, თუ სად უფრო იაფად შეიძლება ოჯახის მოწყობილობის შეძენა და გათავებული იმით, თუ როგორ გაათხოვონ ქალი: ინგლისის ზოგიერთმა გაზეთებმა შემოიღეს თავიანთი მკითხველების უფასო დაზღვევა. ცხადია, რომ ბალდუინი ან ჩემბერლენი გაზეთების ამ სამსახურს არ საჭიროებენ. ეს ღონისძიება მიზნათ ისახავს „დაბალი ფენების“ გაბიაბრუებას, იმის დამტკიცებას მათთვის რომ ბურჟუაზია მათი კეთილისმყოფელი და მეგობარია.

გზის გასაკაფავად მკითხველთა „დაბალ“ ფენებში—წვრილ-ბურჟუაზიის რიგებში, მუშებში და სოფლის მოსახლეობაში, ბურჟუაზიული გაზეთების პატრონები მინიმუმამდი ამცირებენ გაზეთის ფასს. მრავალგვერდიანი გაზეთი 2—3 კაპეიკათ იყიდება. აშკარაა, გაზეთის ეს ღირებულება ქაღალდის ფასსაც ვერ ანაზღაურებს. მაგრამ სიიაფით გამოწვეულ ზარალს გაზეთის მფლობელები ინაზღაურებენ განცხადებების საშუალებით. ბურჟუაზიული გაზეთის კომერციული დირექტორი -- გაზეთს ფაქტიური ბატონპატრონია. გაზეთს რედაქტორი კი არ რედაქტორობს, არამედ კომერციული დირექტორი. ვერც ერთი სტრიქონი ვერ დაიბეჭდება გაზეთში, თუ ის განცხადების მომცემთა ინტერესებს ეწინააღმდეგება.

თუ რა კოლოსალურ თანხას შეადგენს შემოსავალი განცხადებებიდან, სჩანს იქიდან რომ შეერთებული შტატების საგაზეთო გამომცემლობათა წმინდა მოგება 1927 წელს შეადგენდა მილიარდ დოლარზე მეტს და აქედან 750 მილიონ დოლარზე მეტი განცხადების შემოსავალზე მოდიოდა. ძმ. ბერრის საგაზეთო ტრესტის მოგება 1927 წლის დამდეგიდან წლინახევრის განმავლობაში 12.278.950 მანეთს შეადგენდა და ამ თანხიდან უდიდესი ნაწილი განცხადებაზე მოდის.

კომერციით გატაცების ნიადაგზე ბურჟუაზიული გაზეთები არ ერიდებიან აშკარა შანტაჟს. საკმაოა გავიხსენოთ უკანასკნელი მსოფლიო აფიორა, რომლის გმირია „გაზეტ დიუ ფრანს“-ის გამომცემელი ქ-ნი ანო, რომელიც თავის გაზეთებში რეკლამას უკეთებდა სხვადასხვა საეჭვო კომერციულ დაწესებულებებს და მრავალი მილიონი ფრანკი ააძრო გულუბრყვილო წვრილ ბურჟუებს.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესას, საერთოდ, პირველი ადგილი ეკუთვნის მთელ მსოფლიოში თავისი გამყიდველობითა და გაიძვერობით. ჯიბის ინტერესები პირველ ყოვლისა,—ასეთია ლოზუნგი ფრანგ გამომცემლების 99 პროცენტის. და ჯიბის ამ ინტერესებისათვის ისინი არ ერიდებიან არაფერს. საფრანგეთის პრესის წარსული „მოღვაწეობა“ ამ მხრივ უკვე გავაცანით ჩვენს მკითხველებს წინა წლების პრესის დღეს. ახლა გავიხსენებთ მხოლოდ „უკანასკნელ ამბავს საფრანგეთის პრესის აფერისტობისას“.

ჟორჟ დ'ანკეტილ. ეს სახელი სრულიად უცნობია ჩვენი მკითხველისათვის, საფრანგეთში კი ეს სახელი გრგვინავდა, დ'ანკეტილი არის ავტორი მრავალრიცხოვან მოთხრობების და რომანების, რომელშიც უხიცინებს გარყვნილ მკითხველის ალვირახსნილ გრძნობებს. და აი ეს, უკაცრავად სიტყვაა, მწერალი იწყებს გაზეთის გამოცემას. თავის „Remeur“-ი მან ჩქარა დააყენა პარიზის ბურჟუაზიული პრესის პირველ რიგებში. მიაღწია რა ერთგვარ გავლენას, დ'ანკეტილმა დაიწყო იერიშების სხვადასხვა ფირმების წინააღმდეგ. ხდებოდა უცნაური მოვლენა: რამდენიმე დღის შემდეგ იერიშების დაწყებიდან „Remeur“-ში იბეჭდებოდა ნიშანში ამოღებული ფირმის განცხადება და იერიშები წყდებოდა.

ბურჟუაზიული პრესის სიმპატიები თუ ანტიპატიები განიზომება იმ სარგებლობით, რომელსაც ესა თუ ის პოზიცია იძლევა რომელიმე საკითხში.

დუხებისა და პუდრის ცნობილი ფაბრიკანტი ფრანსუა კოტი ინგლისის მოსისხლე მტერი იყო მანამდე, სანამ მას თავისი ფირმის განყოფილების გახსნის ნებართვას მისცემდენ ინგლისში. ხსენებულ ნებართვის მიღების შემდეგ კი ინგლისის ერთგულ მეგობრად გადაიქცა და აუარებელი სამსახური გაუწია დეტერდინგს ანტისაბჭოთა კამპანიაში.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ბურჟუაზიული პრესის პრაქტიკიდან, მაგრამ ნათქვამიც საკმაოა, რომ საბჭოთა მკითხველმა კაპიტალისტური ჟურნალ-გაზეთების ლამაზად დალაგებულ სვეტებში დაინახოს ტუჩებშეთხუპნული პროსტიტუტკის სახე. ასეთი კვალიფიკაცია ჩვენს საკუთრებას არ შეადგენს. ასე ახასიათებენ ბურჟუაზიულ პრესას ყველაზე უფრო პატიოსანი საზღვარგარეთელი ჟურნალისტებიც კი.

ე. წ—ძე

# კახეთის მაზრის ექიმთა სამეცნიერო კონფერენცია



ექიმთა კონფერენციის მონაწილენი

9 აპრილს თელავში შესდგა კახეთის მაზრის ექიმთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ორმოცი კაცი დაესწრო.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო: 1) კუჭნაწლავების დაავადება, 2) ხუნაგი და ქუნთრუშა, 3) თელავის სამალარიო სადგურის მოხსენება, 4) თელავის და სიღნაღის საავადმყოფოების დოსტაქრების მოხსენებები, 5) მიმდინარე საკითხები. პირველ ორ საკითხზე მოხსენება უნდა გაეკეთებია თბილისელ ექიმებს, მაგრამ არც ერთი მომხსენებელი არ ჩამოვიდა. დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხების ამოწურვის შემდეგ კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა სრ. საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობას და ერთხმად დაადგინა სთხოვოს მთავრობას—გამოშვებული იქნეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი.

ვან—ლი.

# საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმში

ლ. შ.

საქართველოს მუშებსა და გლეხებს აქვთ მდიდარი რევოლიუციონური წარსული. ათეული წლების განმავლობაში სწარმოებდა გმირული ბრძოლა მებატონეებისა, მეფისა და ბურჟუაზიის წინაალმდეგ. ყოველი მშრომელი, მუშა, გლეხი და მოსამსახურე ვალდებულია გაეცნოს ამ ბრძოლას, იქონიოს სწორი წარმოდგენა მასზე, ვინაიდან რევოლიუციონური წარსულის შესწავლა, მისი ისტორიის გაცნობა არის საუკეთესო სკოლა ჭეშმარიტად რევოლიუციონური მსოფლმხედველობის შესამუშავებლად და მიმდინარე სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებული მონაწილეობის მისაღებად. მშრომელთა ფართო მასებს ამ საშუალებას აძლევს საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმი, სადაც უტყუარ საბუთებისა და ცოცხალ ექსპონატების სახით თვალწინ იშლება წარსული რევოლიუციური ბრძოლების წარმტაცი სურათი.





რევოლიუციის მუზეუმი ყოველდღე სავსეა მნახველებით
მოსწავლეები, მუშა-ახალგაზრდები მოდიან, რომ გაეცნონ, თუ როგორ იბრძოდნენ მათი მამები და ძმები.

შესწავლის სწორი მეთოდოლოგიის მიზნით საქართველოს სარევოლიუციო ისტორია შეიძლება დაყოფილ იქნას შემდეგ პერიოდებათ.

## I წინა მარქსისტული ხანა

ეს პერიოდი შეიცავს სამ მთავარ მომენტს; ა) ბატონყმობა, ბ) გლეხთა ამბოხებანი და გ) ხალხოსნური მოძრაობა.



ი. ლალიაშვილი.

როგორც ბატონყმობის გადავარდნამდე, ისე ამ გადავარდნის პირველ ხანებში ჩვენში ადგილი ქონდა გლეხთა მრავალ ამბოხებას ასეთი ამბოხებანი: იყო: 1) მთიულეთში 1804 წელს, 2) კახეთში 1812 წ., 3) სამეგრელოში 1857 წელს უტუ მიქავას მეთაურობით, 4) ამბოხება გურიაში და სხვა. მებატონეებისა და მეფის მტკიცე კავშირმა ყველა ეს ამბოხებანი დაამარცხა და გააქარწყლა.

1873-4 წლებში იწყება ჩვენში ხალხოსნური მოძრაობა რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით. ხალხოსნურ მოძრაობას ჩვენში მეთაურობდენ: 1) მიხ. ყიფიანი, 2) ეგ. იოსელიანი, 3) ის. ქიქოძე, 4) გ. ჩიტაძე, 5) ს. მგალობლიშვილი, 6) შ. დავითაშვილი და სხვ.



მუზეუმის ერთი კუთხე.

პროვოკაციის წყალობით მთავრობამ ეს მოძრაობა თითქმის თავშივე ჩაჰკლა.

1886 წელს თბილისში სასულიერო სემინარიის შენობაში მოხდა პირველი ტერორისტული აქტი საქართველოში. სემინარიის მოწაფე იოსებ ლალიაშვილმა მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ი. ლალიაშვილი ღებულობდა მონაწილეობას მოწაფეთა ფარულ წრეებში, თანამშრომლობდა მოწაფეთა ფარულ გაზეთში „ყვავილში“ და იმყოფებოდა რუსეთის ნაროდნიკების ზეგავლენის ქვეშ. ი. ლალიაშვილი გამორიცხეს სემინარიიდან თითქოს ცუდი ყოფაქცევისათვის, ნამდვილად კი მის გამორიცხვას საფუძვლად ედვა პოლიტიკური მოსაზრებები. ი. ლალიაშვილს მიესაჯა 20 წლის კატორღა.

## II 90 წლები—მუშათა მოძრაობის დასაწყისი.

90 წლებში იწყება ახალი ხანა—სამოქმედო ასპარეზზე გამოდის მუშათა კლასი, რომლის ხელმძღვანელად და ორგანიზატორად გამოდიან მარქსისტები— სოციალ-დემოკრატები.

1892 წელს ქ. ზესტაფონში იმართება მესამე დასელების—მომავალი სოციალ-დემოკრატების — პირველი ფარული კონფერენცია, კონფერენციის მოწვევის ინიციატორი იყო ე. ნინოშვილი. კონფერენციას დაესწრენ: 1) ე. ნინოშვილი, 2) მ. ცხაკაია და სხვები.

1894-5 წლებში თბილისში ეწყობა მუშათა წრეები, 1893 წელს მუშებმა ფ. აფანასიევმა და ვ. ცაბაძემ მოაწყვეს პირველი ფარული წიგნთსაცავ-სამკითხველო, საიდანაც აძლევდენ მუშებს უმთავრესად მარქსისტულ წიგნაკებს. ეს ბიბლიოთეკა ჟანდარმერიამ გაანადგურა 1897 წელს. 1893 წელს გამოდის ჟურნალი „კვალი“, რომელიც 1898 წლიდან ხდება ლეგალური მარქსისტული ორგანო.

1898 წელს არსდება რ. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა წრეებს და უწევს მათ საერთო ხელმძღვანელობას. იმავე 1898 წელს თბილისის მოწინავე მუშები პირველად მართავენ პირველ მაისობას.

## III პირველი რევოლიუცია—1905 წელი

1901 წლიდან მუშათა მოძრაობა ღებულობს მასიურ ხასიათს: იწყება მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციები და სხვა აქტიური გამოსვლები.



მუზეუმის ერთი კუთხე
ქართველ რევოლიუციონურ ხალხოსნების სურათი.

1905 წელს საქართველოს მუშათა კლასი უდიდესი მომზადებით და შეკავშირებით შეხვდა.

არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით საქართველოს მშრომელნი ჩაებნენ რევოლიუციონურ მოძრაობაში. მთელი ქვეყანა მოიფინა კომიტეტებითა და კოლექტივებით. 1905 წლის 9 იანვრის ამბებს თბ. პროლეტარიატმა უპასუხა დიდი დემონსტრაციით, რომელიც გაიმართა 1905 წლის 23 იანვარს რუსთაველის პროსპექტზე, ამის შემდეგ იწყება განუწყვეტელი გამოსვლები სოფლად და ქალაქად.



მუზეუმში დაცული „ამერიკანკა“, რომელზედაც თვითმპყრობელობის დროს იბეჭდებოდა პროკლამაციები.

გლეხობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლიუციონურ მოძრაობაში, ის ბოიკოტს უცხადებს მემამულეებსა და სამღვდელოებას და ქმნის თავის რევოლიუციონურ თვითმმართველობებს გლეხური მოძრაობის მთავარ რაიონებში. შემდეგ რეაქციის ხანაში ამ რევოლიუციონურ თვითმმართველობათა მეთაურები და მონაწილენი გასამართლებულ იქნენ ე. წ. „რესპუბლიკების“ საქმეებზე.

მთელი ეს უდიდესი მოძრაობა სარევოლიუციო მუზეუმში განსახიერებულია სხვადასხვა ექსპონატების, მხატვრული სურათების, ესკიზების, დიაგრამების, და რევოლიუციონური პრესის საშუალებით.

საგანგებოთ წარმოდგენილია თბილისის, როგორც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სარევოლიუციო ცენტრის, უმთავრესი ამბები და მნიშვნელოვანი მომენტები.

## IV რეაქციისა და იმპერიალისტური ომის პერიოდი

აქ წარმოდგენილია რეაქციის თარეში ჩვენში, ტერორისტული ბრძოლა, პარტიული პრესა, კონფერენციები და ყრილობები და სხვა.

## V თებერვლის რევოლიუცია

დროებითი მთავრობა და მისი პირველი ნაბიჯები, როგორ შეხვდენ რევოლიუციას ჩვენში — პირველი მიტინგები და რევოლიუციონური ორგანიზაციები და სხვა ყოველივე ეს სავსებით წარმოდგენილია ამ განყოფილებაში.

## VI „დემოკრატიული“ პერიოდი

1917-18 წლიდან საქართველოს ეპატრონება მენშევიკური პარტია მისი ბატონობა გრძელდება 1921 წლამდე. თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებში ის ჯერ კიდევ დგას თავის ძველს პოზიციებზე, ებრძვის სეპარატისტულ მიდრეკილებათ ჩვენში და იცავს ერთიან ფრონტს „რუსეთის დემოკრატიასთან“. გავარდა ოქტომბრის მეხი, მისი შიში აფრთხობს ყველა ჯურის ნაციონალისტებსა დ კონტრრევოლიუციონერებს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ აქ[illegible] აბარა თავისი ძველი ინტერნაციონალური დროშა და აფრიალა ნაციონალიზმის დროშა. ამიერ-კავკასიის სეიმისა და მთავრობის სახით აღიმართა პირველი ბარიკადა ოქტომბრის წინააღმდეგ, მაგრამ სამთა ბლოკს (მენშევიკები, დაშნაკლები და მუსავატელები) ღრღნიდა შოვინისტური ჭია. ოსმალეთთან ომმა სავსებით ფარდა ახადა იმ შინაგან წინააღმდეგობას და შეურიგებლობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ბლოკში.



### მუზეუმის ერთი კუთხე

აქ ახალი თაობა იხილავს შპიკისა და გოროდოვოის ფიგურებს.

ბოლშევიკური პარტია განაგრძობდა ჰერქვეშ მუშაობას და საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ამზადებდა ფართო მასებს ამიერ-კავკასიის ოქტომბრისათვის.

ლ. შ.

# კომკავშირელები ხელს უწყობენ კოლექტივიზაციას



ქუთაისელ კომკავშირელების ერთი ჯგუფი, რომელიც პატრიკეთის კომუნარებს დაეხმარა სახ.-სამ. მუშაობაში მიმდ. წლის ხ აპრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიკაელ ნალბანდიანი

(1829—1929)

## ი. ენიკოლოპოვი

წარსული საუკუნის სომეხ მწერალთა შორის მიკაელ ნალბანდიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბრწყინვალე მწერალი, რომელმაც გაიარა დიდი საფუძვლიანი სკოლა, არა ნაკლებ ცნობილი თავისი ისტორიული გამოკვლევებით, მშვენიერი სოციოლოგი და პუბლიცისტი, ნალბანდიანი წარმოადგენს ენციკლოპედისტს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თემების შერჩევაში, რომლებშიც იგი ილაშქრებს მისი თანამედროვე ჩვეულებებისა და წესების წინააღმდეგ,— შეეხება ეს მმართველობის უმაღლეს ორგანოებსა, თუ სხვადასხვა წოდებათ,— ნალბანდიანს არ ჰყავს ბადალი. ყველა „წყეული კითხვები" გამოძახილს პოულობენ მის ფხიზელ შეგნებაში და ყველა ისინი მძლავრი კალმის ქვეშ, პირველად გაისმინ საჯაროდ.

მის ამ კეთილ ობილურ გატაცებას შედეგად მოჰყვა დაპატიმრება, დატყვევება პეტრე-პავლეს ციხეში და შემდეგ გადასახლება, რომელმაც ჩქარა საფლავის კარამდე მიიყვანა იგი. მეფის მთავრობა არ დაკმაყოფილდა მარტო იმით, რომ ასე სასტიკად გაუსწორდა პოეტ-მოქალაქეს და ყოველ ზომებს იღებდა, რომ პრესაში არ გამოქვეყნებულიყო მის ნაწარმოებნი, თუგინდ ისინი პოლიტიკური ხასიათის არ ყოფილიყო და, როგორც ზოგიერთი საარქივო მასალები (თბილისის გუბერნატორის 1874 წლის საქმეები, რომლებიც საქ. სახ. არქივში ინახება) ამტკიცებენ, ყოველმხრივ ცდილობდა მისი მოგონებაც კი აღმოეფხვრა მასებიდან, რისთვისაც ყველგან დაგზავნილი იქნა ცირკულიარები—მოეხდინათ ნალბანდიანის ყველა სურათების კონფისკაცია.

ამიტომ ინტერეს მოკლებული არ იქნება თავისუფლებისათვის ამ გამოჩენილი მებრძოლის დაბადების 100 წლის თავის წინ „დროშა"-ს მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ მიკაელ ნალბანდიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

* * *

მიკაელ ნალბანდიანი დაიბადა 1829 წ. 2/15 ნოემბერს ქ. ნახიჩევანში, როსტოვის ახლო, ღარიბ ოჯახში. უსახსრობამ აიძულა მშობლები თავიანთი ვაჟის აღზრდა მთლიანად მიენდოთ დიაკვნისათვის, რომელიც ბავშს თავის „ხელობას" ასწავლიდა. ჩქარა ახალგაზრდა ნალბანდიანი გადადის მღვდელთან—გ. პატკანიანთან, რომელიც მას საშუალო განათლების დასრულების საშუალებას აძლევს. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ნალბანდიანს უჭირავს სხვადასხვა სასულიერო დაბალი თანამდებობანი, რამაც შემდეგში მას მისცა დიდძალი მასალა სამღვდელოების ბნელი ცხოვრების გამოსამზეურებლად.

ცოდნის გაფართოვების სურვილმა ნალბანდიანი 1852 წ. გადაისროლა მოსკოვში, სადაც იგი ეწაფება მეცნიერებას—ლექციებს ისმენს უნივერსიტეტში. აქ ის პირველად ეცნობა რუსეთის მოწინავე ხალხს, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობას. სწორედ ამ ხანებში



აღეძრა ნალბანდიანს სურვილი სარგებლობა მოეტანა სომხეთის ხალხის მასებისათვის, სინათლის შუქი შეეტანა მის ცხოვრებაში. ორგანო, რომელშიც შეეძლო მას თავის შეხედულებათა გამოთქმა ეს იყო მხოლოდ ჟურნალი „ხიუსისაპაილ" („ჩრდილოეთის ელვარება"), რომელსაც მოსკოვში სცემდა პროფ. სტ. ნაზარეტიანცი. ბრწყინვალე წერილებმა ახალგაზრდა პუბლიცისტისამ (ნალბანდიანი ზოგჯერ ჟურნალში ათავსებდა ლექსებსაც, როგორც საკუთარს, ისე თარგმნილს), რომელიც ჟურნალის პირველი ფურცლებიდან იბრძოდა ახალი სომხური ენის შემოღების სასარგებლოდ დაძველებულ ხუცურის მაგიერ, მოითხოვდა საერო შკოლას და ებრძოდა ნაციონალურ განცალკევებას,— მას შეუქმნეს სახელი ადამიანის, რომელიც რეალურ ნიადაგზე დგას და თან ცხოვრების გამოცდილებას ეყრდნობა. 1859 წ. ნალბანდიანი მიემგზავრება უცხოეთში. დაბრუნების შემდეგ ის კავშირს სწყვეტს ნაზარეტიანცთან და მიდის პეტერბურგში გამოცდის ჩასაბარებლად აღმოსავლეთის ენების კანდიდატის ხარისხზე. პეტერბურგიდან ნახიჩევანში დაბრუნების შემდეგ ის იგებს, რომ ქალაქი დაინტერესებულია ერთი დიდი მემკვიდრეობით ინდოეთში. ქალაქი ირჩევს მას თავის რწმუნებულად და ანიჭებს ფართე უფლებებს.

1860 წლის აგვისტოს დამლევს ნალბანდიანი ნახიჩევანიდან მიემგზავრება ევროპაში და იქიდან 1861 წლის მაისში ჩადის ქ. მადრასში. აქ დაკისრებული ამოცანის უკეთ შესრულების მიზნით, ნალბანდიანი სწავლობს ინგლისურ ენას და ეცნობა ადგილობრივ კანონმდებლობას, რაც საშუალებას აძლევს მას ბრწყინვალეთ შეასრულოს დავალება და მიიღოს მდიდარი მემკვიდრეობა.

ინდოეთიდან დაბრუნებისას ნალბანდიანი დროებით ჩერდება ლონდონში და აქ ეცნობა გერცენის წრეს, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს მეფის მთავრობასთან. ამ წრეს, რომელიც თავის რიგებში უყრიდა თავს რევოლიუციონურად განწყობილ მოქალაქეთ, რომელთაც ვერ აიტანეს თვითმპყრობელობის დესპოტიზმი, ჰქონდა საკუთარი ორგანო— „კოლოკოლ", რომლის ხმას ხარბად ისმენდნენ გერცენის მომხრეები რუსეთში. ეს წრე მაშინ თავს უყრიდა ისეთ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთ, როგორც ნ. ოგარევი, ბაკუნინი და სხვ. და თავის დამაარსებელის ხელმძღვანელობით გადაიქცა ცენტრად ახალი მიმდინარეობის, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს ბრძოლის რევოლიუციონურ მეთოდებს.

ნალბანდიანის მეგობრობა ამ ხალხთან, მათთან მიწერ-მოწერა საზოგადოებრივ საკითხზე რუსეთში დაბრუნების შემდეგ და, დაბოლოს—მისი პატარა ბროშურა „ორი სტრიქონი", რომელშიც იგი გარკვევით აყალიბებს მეფის მთავრობასთან ბრძოლის გზას და მეთოდებს,— იწვევს მის დაპატიმრებას 1862 წ. ნახიჩევანში, სიდანაც ის გადაჰყავთ პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხეში. აქ მან დაჰყო სამი წელიწადი. სენატის დადგენილებით გადაასახლ ს ქ. კამიშინში, სადაც 1866 წლის 30 მარტს გარდაიცვალა.

ი. ენიკოლოპოვი.

# ფოტო-აპარატით მთაში და გარათ*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ. ფურცხვანიძე

მივდივართ ვიწრო კლდოვან ბილიკებზე ხან აღმა, ხან დაღმა, და მალე ერთი მთის კალთებს მივაწიეთ; აქ ბერდიამ შეისვენა. იქვე მთის ანკარა წყალი მოსჩუხჩუხებდა, ჩაჯდა ბერდია და მეც დამიძახა: მოდ, შავისვენებდეთ, შალიკო.



გზა ლაგოდეხიდან ზაქათალისკენ

დავსხედით, ბერდიამ შუბა აიწია, ქამარზე ჩამობმული მჩატე ხის ნაჭერი მოიხსნა, ბასრი ხანჯალი გააძრო და დაიწყო „ქაღალდის“ დამზადება; სწრაფად თხელი ხის ფურცლები, მართლა პაპიროსის ქაღალდის სისქე ათალა. შემდეგ თუთუნი და კვესაბედიც მოსძებნა და ჩვეულებისამებრ გავახვიეთ ხის კანში თამბაქო და ვსწევთ. გავსცქერი ხევს, რომელშიაც პატარა ღელე მილიკლიკებს. დილაა... მზე დიდი ხანია ამოსულია, მაგრამ ჩვენს ხევში მაინც არ ანათებს და ამიტომ გვცივა.



ნუხის მიდამოები (აზერბეიჯანი).

ბერდიას ვკითხე:

— აწუნთა კიდევ შორს არის.

— ამ მთა გვერდ გადვირბენდეთ, მაღლა შავხთებით და აწუნთაი გამოჩნდების, — ეს სიტყვები დაასრულა და წამოხტა:

— ვიდინდეთ, გვექმარის შასვენება.

ავდექი. მივყვებით კლდოვან ფერდობებს, აქ მართლაც, რომ არ შეიძლება ფეხსაცმელებით გავლა, ქსოვილი ქალამნებით კი სრულებით არ მიჭირს სიარული.

გადავიარეთ მთის ფერდობი და გადავიხედე. სურათი უეცრად გამოიცვალა. თვალწინ თოვლიანი მთები წამოიჭიმა; მარჯვნივ მაღალი მთა, მარცხნივ თვალს არაფერი ეფარება, შორს მოსჩანან თოვლიანი მთები, მათ შორის მყინვარწვერიც ლამაზათ გამოიყურება.

— აი აწუნთაიც ეს არს,— მითხრა ბერდიამ და შემახედა მარცხნივ მდებარე მთაზე, რომელსაც მაღლა ცხენის უნაგირისებური ფორმა ჰქონდა.

— ალბად იქ უნდა აეიდეთ ბერდია, არა?

— იქა გადირბენ შენა, მეც კი მოგიყვან და ჩამოვბრუნდები.

ამ სიტყვებმა რაღაც შემაფიქრა. თითქოს შემეშინდა, რომ თოვლიან მთების შორის მხოლოდ ორი კაცი ვართ და თავს დაგვტრიალებენ ორბნი და არწივნი. ამ მთის წვერს იქით ნეტავ რა იქნება? იქით ხომ მარტო უნდა ვიარო? ვეკითხები ჩემს თავს, და ვდგევარ ერთ ადგილას. დიდხანს ვიქნებოდი ასე, რომ მაღლა ასულ ბერდიას არ დაესტვინა. ამ სტვენამ კი ერთბაშად გამომაფხიზლა და უეცრად მაღლა ავიხედე. ბერდია შუამდე მისულა და მიცდის. მეც დავიძარი, ფხვიერია მთის კალთები, ფეხებს ვერ ვიჭერ ზედ, მთელი ძალით და ღონით ვცდილობ მაღლა ასვლას, მაგრამ ისევ იქვე ვარ გაჩერებული. მაშინ ბერდიამ ჩამომძახა:

— გვერდ-გვერდ იელიდე, ქვებსა ჩასჭიდე ქუჩები, ქვებსა, ნუ გეშინის, არ დავარდები.

მეც როგორც იქნა მივხვდი მის სიტყვებს და დიდი წვალებით მივედი ბერდიასთან.

აქ ბერდიამ მითხრა:

— შალიკო, შენ აქ მაისვენე, მე მაღლ ავალ, დაგისტვენ, ამოხვიდოდე, ვნახ საშიშ ხომ არა არის რა.

მე ვიცდი და ფიქრები არ მცილდება თავიდან, ვფიქრობ, თუ როგორ და როდის ჩავალ თუშების სოფელ ჰონთიოში. იქნებ ამაღამ გარედ დავრჩე. გარეთ ბევრჯერ დავრჩი, მაგრამ... ეხლა სულ სხვაა და საათს დავხედე. უკვე სამი გათავდა, მეოთხე დაწყებულია. ეხლა ბერდიას სიტყვები მაშინებს და ქისტების გახსენებაზე ხომ სულ ჟრუანტელი მივლის ტანში.

მალე სტვენა შემომესმა. მაღლა ავიხედე და დავინახე აწუნთის წვერზე, წერტილივით მოსჩანდა ბერდია. რომელიც თავისი გრძელი ბინოკლით ათვალიერებდა ხევს. დიდი წვალებით ავედი მეც მაღლა და გადავხედე იქითა მხარეს; აწუნთის იქითა მხარე მთლად თოვლითაა დაფარული და მხოლოდ ცოტაოდენი ვიწრო ადგილი ქვიშით დაფარული მიდის თოვლში. თავს დაგვტრიალებენ ისევ ორბნი და არწივნი, კლდეებში კი გაჰკივიან შურთხები.

ბერდია მემშვიდობება და ბრუნდება უკან.

* * *

მე ცოტა ხანს შევჩერდი და როდესაც გამახსენდა, რომ უკვე ღამდება და მე კი თუ არ ვიჩქარე ვერც ჩავალ ს. ჰონთიოში, დავეშვი თავქვე. დიდის წვალებით, თოვლში წელამდე სიარულით და სრიალით 6 საათზე ჩამოვედი ძირს ხევში.



130 წლის დაღესტანელი გლეხი.

აქ მოჰქუხს თუშეთის ალაზანი, კლდოვან ვიწრო კალაპოტში და მე მარტო მივყვები მის გვერდზე მიმავალ ვიწრო ბილიკს, გავდივარ და გამოვდივარ ცივ ალაზანში ხან იქითა და ხან აქეთა ნაპირზე, რადგან გზა გაფუჭებულია და როცა მარცხნივ სიარული არ შეიძლება, იძულებული ვარ გადავიდე მარჯვნივ და შემდეგ ისევ მარჯვნიდან მარცხნივ. საღამოს 9 საათამდე წყალში სიარულით დასველებულმა და დაღლილმა ერთი ქვის გვერდით „დავიძინე“ მინდორში, სადაც საზარლად ზმუოდა ქარი და დილამდე ისმოდა მთიდან მგლების ყმუილი.

მეორე დღეს კიდევ ვრჩები გარედ მინდორში მარტო. არ მხვდება კაცი. მხოლოდ ნადირები გარბიან და გამორბიან ხევიდან ხევში.

როგორც იქნა ჩავედი ს. გირავაში, სადაც ვრჩები 2 დღეს. მესამე დღეს მე და ჩემი მასპინძელი თუში მივდივართ თელავისაკენ. თელავში ჩასვლამდე ბევრი გადასავლები გადავიარეთ, ორი ღამე აქაც დავრჩით გარეთ.

* * *

თელავიდან გავსწიე დაღესტანისაკენ. გადავდივარ ყადორის გადასავალზე და შევდივარ პირველად დიდოების რაიონში. აქ ხალხი მაინც და მაინც ხევსურებზე უკეთესად არა სცხოვრობს.

დიდოების რაიონის გავლისა და ბოჩოყის გადასავლის გადავლის შემდეგ ჩავდივარ დაბა ბოთლიხში. ლეკების ცხოვრებას კარგად გავეცანი, ენაც ვისწავლე ზოგიერთი სოფლების (ლეკები თითქმის 64-მდე კილოკავზე ლაპარაკობენ —სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად).

ჩავედი გუნიბში, ლამაზი ადგილია გუნიბი, გაშენებული მაღალ მთაზე, რომელსაც თავს დასცქერის შამილის ძველი ციხე. გუნიბში მი-

*) დასასრული. იხ. „დროშა“ № 8.

თხრეს, რომ თუ ძლიერ არ აჩქარდი, გადასავალი დაიკეტება.

4 დღეში გავიარე დაახლოებით 295 ვერსი და ჩავედი ლეკების უკანასკნელ სოფელ რიჭლოში. ეს ძლიერ პატარა სოფელია. როგორც იქნა, ვნახე ერთი ლეკი, რომელიც ქართულად ლაპარაკობს (ჩემი „ლეკური" ამათ არ ესმით), მან შემიყვანა თავის პატარა ქოხში.

ეს ქოხი ხევსურულზე უარესი იყო. ცალ კედელზე ბლომად ეყარა თივა და რამოდენიმე ცხვრის ტყავი. შუა ადგილზე პატარა შუა-ცეცხლი ენთო. იქვე პატარა სიპი ქვა იდვა პურის გამოსაცხობად და ყურეში მიწაზე ეყარა რამოდენიმე რგვალი პური და ძველი ქალამნები. მასპინძლის ცოლმა საიდღანაც მოიტანა ორი პატარა ახლად დაჭერილი თევზი და მიწაზე დაყარა, შემდეგ მოიტანა დანა, გაფატრა ერთი, „გაასუფთავა" და დაიდვა ფეხზე—ტალახიან ქალამანზე. შემდეგ მეორეც გაფატრა და შეაგდო ნაცარში. რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოათრია, ორივენი გაატყავა და გაკეთების დღიდან გაუწმენდელ სპილენძის თეფშზე დააწყო. შემდეგ ური მოიტანა, მუხლზე გადაიტეხა და დადვა ეფშზე. დაღლილი ვარ და ძლიერ მშია. რა ნდა ვქნა არ ვიცი, რომ არ მეყურებინა ამ ევზების დამზადებისათვის, დაუზარებლად შევსჭამდი. მაგრამ სიმშილმა დამძლია. თევზები ურის ნატეხში ჩავდევი და შევჭამე.

დავიძინეთ თივაში.

გათენდა თუ არა, ჩემმა მასპინძელმა იოლდაში მიშოვა და გავსწიე ჭუმმი-კალლის გადასავლისაკენ. ამ გადასავალზე გადასვლა როგორც ოლდაში მუნჯურ-თათრულ, ქართულ-რუსულად მატყობინებდა, ძლიერ ძნელია და თვით ეკური სახელწოდებაც ჭუმმი-კალლი ნიშნავს ობობას მთას". ალბად, ისეთივე დახლართულია, როგორც ობობას ქსელი.

ფეხზე სანდლები მაცვია, რადგან ფეხსაცმელები ვერსად ვიშოვე. დიდი წვალებით, ლში წელამდე სიარულით და სრიალით გალახეთ გადასავალი. იმ დღეს, ძალზე სვე ს და გაცივებულთ ჩამოგვალამდა მთაში.

გზაში ბოსელს წავაწყდით. დავსწევით თივაში. ლამით თაგვები თავქვეშ წარამა დარბოდნენ და დაწრიპინებდენ, შორიდან კი თ ბანს აძლევდა მგლების ღრიალი. გავათე თ, როგორც იქნა. დილით ჩემმა იოლდაშმა ყავის ტომარში ქუმელი დაამზადა, „ვისაუზ ეთ" და წავედით წინ.

მეორე დღეს იმდენი ვირბინეთ, რომ სალა ს ჟამს ტლიანოდის ხეობაში შევედით. მივ ივართ პირდაპირ, წყალდაწყალ, გზა სულ გა უჭებულია, ერთი და იგივე წყალი 46-ჯერ ადვიარ-გადმოვიარეთ და ძალზე შეცივებულთ ჩამოგვალამდა, იღბლად ისეთ ადგილას, სადაც წყლის პირზე შეშა ბლომად მოიპოვებოდა. მოვაგროვეთ შეშა და დილამდე გიზგიზებდა ების" ცეცხლი.

მეორე დილა გათენდა. მზემ ლამაზად ამოათა და გაანათა მხოლოდ ვიწრო ხეობის წვეები. მივდივართ ისევ წინ. ქუმელი გამოილია. მელი არ არის. არც სოფელია ახლოს. გზაში მელს რას შევხვდებით. ჩემი იოლდაში ხანახან ნახულობს მიწის ვაშლებს და მომიტანს ლმე, მაგრამ ეს უფრო გვაგვიანებს და ამიმ მთელი ძალ-ღონით მივრბივართ წინ. როც იქნა—როსტლიანადის გადასავალი გადარეთ და გამოჩნდა ამწვანებული კახეთის მიმო. უკვე ღამდება. დავეშვით თავდაღმართზე ვედით ტყეში. ღამეა, სცივა, ჭქრის ქარი.

მე და ჩემმა იოლდაშმა შეშა მოვაგროვეთ ძლივს ცეცხლი დავანთეთ.

ოლდაში წყალს ეძებს, უნდა რომ ილო. ძლიერ სწუხს და იძახის:

— თლიმ იოქ, თლიმ.*) მაგრამ რას იზამს, არ არის წყალი. არც საჭმელია, თორემ წყალს რას ვეძებ ან მის ლოცვას. დილით ავდექით და მშივრები სირბილით გაუდექით ტყის ბილიკებს. ჩემი იოლდაში რაღაცას მანიშნებს ხელით. ეტ-



ხუნძახის კარები (დაღესტანი)

ყობა სადღაც საჭმელი ეგულება. მეც ეს მინდა. მივრბივართ შეუჩერებლივ. ერთ ადგილას პატარა ნანგრევი ქოხი გამოჩნდა. იქვე ვილაცას სასაფლაოა, ზედ თათრული წარწერით. იოლდაშმა მანიშნა დამეცადა. მეც უცდი. ლეკური თამბაქო ხის კანში გავახვიე და ვსწევ მშიერ კუჭზე.

არ გასულა 20 წუთი, რომ იოლდაშმა შუბის კალთით სავსე ვაშლი და ზმარტყლი მოიტანა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, დავსხედით და უზომოდ ვსჭამეთ.

დავიძარით, ეხლა ცოტა ნაბიჯი შევანელეთ. შუადღის 3 საათზე ქალ. ბელაქანში ვარ, ვზივარ ალმასკომის ოთახში და ვიგონებ გავლილ გაჭირვებებს, რომლებიც ეხლა რაღაც შორეულ ამბებათ მეჩვენება და გული ისევ წინ მიიწევს.

* * *

ავედით ლაგოდეხში. იქიდან კი ისევ ბელაქანში გამოვიარე და ჩავედი ზაქათალაში. აქ შევისვენე 3 დღე და განვაგრძე გზა. გავიარე ს. კახო და ჩავედი ქ. ნუხაში. დავათვალიერე ქარხნები, ვნახე შამილის ძველის ძველი ციხე-სიმაგრე, რომელიც არაჩვეულებრივი ტეხნიკით არის აშენებული. გავეცანი კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობასაც და ჩავედი ს. ნიჩში. უკვე აზერბეიჯანის ტერიტორიაზე ვარ. მივქრივარ წინ. მთა და კლდეები უკვე დამთავრებულია. ეხლა სიარული მიხდება ვაკე ადგილებში. ნიჩის რაიონში დავრჩი 15 დღე, რადგან აქ მიდიოდა საბჭოების გადარჩევები, რაც ძლიერ მაინტერესებდა. დავდიოდი გადარჩევის ჩამტარებელ კომისიასთან ერთად და ვიღებდი სხვადასხვა საინტერესო მომენტებს საარჩევნო კრებებზე და ვეცნობოდი გლეხების ცხოვრებასაც. ამავე დროს ტარდებოდა აგრეთვე კამპანია ჩადრებისა, ფაჩხების წინააღმდეგ. მრავალ სოფლებში ქალები ჩადრებს თვითონვე სწვავდნენ და მაგალითს უჩვენებდნენ სხვა ქალებს.

* * *

დავტოვე ნიჩი და გავსწიე ალდაშისაკენ. უკვე დაზამთრდა. მგლებს მთაში გადაურჩი, მაგრამ ეხლა ბარშიაც დაწანწალებენ და ძლიერ საშიშია მარტო სიარული.

ორ დღეში ჩავედი ქ. ალდაშაში. აქედან მეორე დღეს უკვე გეოგჩაიში ვიყავი. ორი დღის შემდეგ გზას გაუდექი. უკვე ბაქოს უახლოვდები, მალე შემახაში ჩავალ და იქიდან მივაშურებ ბაქოს. შემახაში ვრჩები მხოლოდ ერთი დღე, აქედან ბაქომდე დარჩა 115 კილომეტრი. სამოთხ დღეში თავისუფლად ჩავალ, მაგრამ გზაში სოფლები არ არის, ერთი დღის სავალზე არის სოფელი მარაზანი აქ ღამის გასათევი ბინებია მგზავრებისათვის. შემახიდან ბაქოსაკენ რომ გავედი, ბუნება მთლიანად დაუშნოვდა. მივდივარ დაბლობ ადგილზე, გზაც ძლიერ გაფუჭებულია, დიდი ტალახებია. გზადა გზა რომ სოფლები არ მხვდება, ეს მთლად მიკარგავს სიხალისეს. ტიტველი გორაკებით ვარ მუდამ გარსშემორტყმული და „აზნეფტის" მილები გადადის მთიდან მთაზე. სადღაა ლამაზი კასსარის ხეობა, მდინარე არდონი, ყვირილით მთელ ხეობას რომ იკლებს, ან ხევსურეთის ზუროს ხეობა, ფიჭვნარი ტყე რომ უმშვენებს მხარს და თოვლიანი მთები დასცქერიან თავს.

მეორე დღეს საღამოს, 24 კილომეტრით უახლოვდები ბაქოს. აქვეა „აზნეფტი"-ს კარავი. ღამით ვრჩები კარავში მუშებთან. გარეთ ძლიერ ცივა, მაგრამ კარავი ისე მოხერხებულადაა აგებული, რომ შიგ ღუმელიც სდგას და ძალზე ცხელა. მგლები მაინც არ მცილდება, აქაც დარბიან, გარეთ მგლები ყმუიან და ჭკივიან გიენები საზარელი ხმით.

გათენდა, დავემშვიდობე მუშებს და ადრიანად გავემგზავრე ბაქოსაკენ. ძლიერ ჩქარა ვიარე, პირველ საათზე ბაქოში შევედი.

ისევ ტრამვაი, ისევ ხმაური, ელექტრო-მატარებელი მიჭქრის რელსებზე ლამაზად.

აი ორთქლმავალიც. უკვე შვიდი თვეა, რაც თვალით არ მინახავს ყველა ეს თითქოს. მიკვირს, ჯერ არნახული რამ მგონია. ვდგევარ გაშეშებული და გავსცქერი მიმავალ მატარებელს.

ბაქო! გათავდა ფეხით სიარული, გათავდა ხეტიალი, გაჭქრა სიმწრით გატარებული, მაგრამ მაინც სიამოვნებით მოსაგონი დღეები. გაჭქრა თვალწარმტაცი ხეობები, ბნელი და ცივი.

* * *

მაგრამ ბაქოში ყოფნაც მომბეზრდა. ერთ მშვენიერ საღამოს ვტოვებ ბაქოს, ვჯდები მატარებელში და მივდივარ თბილისისაკენ. მიმაქანებს მატარებელი და ფიქრები ირევა თავში. ყოველი წარსული წვრილმანი არ მშორდება გონებიდან. მეორე დღეს 1-ლ საათზე თბილისში ვარ.

დამთავრდა ჩემი მოგზაურობა.

4000-ზე მეტი კილომეტრი გავიარე ფეხით, მთაში და ბარათ ჩემს განუყრელ თანამგზავრ ფოტო-აპარატთან ერთად. ვაი-ვაგლახი გამოვიარე ამ მოგზაურობის დროს, მაგრამ განა შეედრება ეს გაჭირვება იმ სიამოვნების გრძნობას, რომელსაც ადამიანი განიცდის სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების, მათი ზნე-ჩვეულების გაცნობის დროს?

ამ მოგზაურობამ ნათელჰყო ჩემთვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმს ადამიანის ცოდნის გამდიდრებისა და ჯამრთელობისათვის.

**შ. ფურცხვანიძე.**

*) თლიმ—ლეკურად წყალს ნიშნავს; იოქ—თათრულად ნიშნავს—არ არის.



გუნიბი (დაღესტანი)

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



მუშა-ქალები დასვენების დროს (თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“)



მუშა სვანები ამზადებენ ნიადაგს ჩაის პლანტაციები-სათვის (ზუგდიდის მაზრა)



„აზნავთის“ დროებითი ნავთსაქაჩავი სადგური ხაშურში



ჯიშიანი ძაღლების გამოფენა თბილისში



ტყიბულის მაღაროებში.—ქვანახშირის დატვირთვა



ქუთაისის მუშკოოპის წითელი სასადილო

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კაჭოს ქ. № 68

## „საქმიანი“ კაცი

— უკაცრავათ. ამხანაგო! გ...ხოვთ, ცა ბოლოს მომაქციოთ ყურადღება, მაკვი-ანდება!

— არა მცალიან მოქალაქე! ხომ იე-დავთ საქმეს ვაკეთებ!

## იაფ-ფასიანი სიძვირე

— თქვენ ფასების დაწევის კამპანია თუ ჩაატარეთ?

— როგორ არა!

— აბა გვაჩვენეთ რომელია ფასდაკ-ლებული საქონელი!

— მასეთი ჩვენს კოოპერატივში არ იშოვება.

## თვალის ექიმთან

— თვალები მტკივა, ექიმო...

— ეხლავ ვნახავ... აბა წაიკითხეთ: ეს რა ასოა?

— ბ.

— ესა?

— ი.

— მშვენივრად ხედავ, რატომ ემდური თვალებს?

— ალბად წელან მხედველობამ მიმ-ტყუნა,—კოოპერატივში შეველი სავაჭ-როდ და ვერაფერი დავინახე.

ა. ბ.

## „შიში შეიქმს სიყვარულსა“

— კაცო, ვინ არის იმ ხეივანში ის უცხო კაცი შენს ცოლს რომ ეხვევა!

— სსს! ჩუმათ, უცხო კი არა, ჩვენი განყოფილების გამგეა!

## ძილის წამალი

— კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი,— ბავშს რას დასდგომიხარ და რა მოხსე-ნებას ჰკითხულობ!? გაუშვი დაიძინოს!

— მეც იმისათვის ვკითხულობ, რომ დაიძინოს. კრებაზე რომ ვკითხულობ— მთელი აუდიტორია იძინებს და ამას რა დაემართა.

ა. ბ.

## ბურჟუაზიული ლოღიკა



— ვინ სთქვა ჰერ, თითქოს ჩვენ არ ვემზადებოდით პირველ მაისისათვის! პირიქით ჩვენ ძლიერ კმაყოფილი დავ-რჩით მუშებთან შეხვედრით!

## ნოქრის სიხარული

— ჩვენი კოოპერატივი დაიწვა...

— მერე, რატომ გიხარია?

— რომ არ დამწვარიყო, ათი წელი-წადი ციხე არ ამცდებოდა.

ა. ბ.

## ამითაც კმაყოფილია

— წაიკითხე რეცენზია ჩემი წიგნის შესახებ, როგორ მაგინებენ?

— მერე და ასე გახარებულ ხარ?

— გახარებული როგორ არ ვიქნები: ეს პირველი წიგნია ჩემი და, ეხლავე ყურადღება მიიქცია პრესაში!

## გულკეთილი გამგე!

— .......უნდა იცოდეთ, რომ თქვენს დაწესებულებაში ადგილი აქვს დაუდევ-რობას, სამსახურისადმი გულგრილობას, დაგვიანებებს და სხვა... სასტიკი შეშჩნევა უნდა მისცეთ ასეთ თანამშრომლებს!

— არ შემიძლია ამხანაგო! ნათესავებს ვერ ვაწყენინებ!

## ანკეტა

— რამ დაგაღონა, კაცო, რა იყო?

— რაღა რამ დამაღონა,—90 კითხვი-ანი ანკეტა შევავსე და ერთ კითხვაზე ველარ მიმიცია პასუხი...

— რა არის განა ისეთი?

— სწერია: თქვენს ტყეში რამდენი კურდღლის ბაჰია არისო.

— მაგაზე რამ დაგაღონა, ჩაწერე რამდენიც გინდა და თუ არ დაიჯერე-ბენ, მივიდნენ და თვითონ დათვალონ.

ა. ბ.

## სამართლიანი დარიგება

— კაცო თბილისში მივდივარ ამ უქ-მეებზე საექსკურსიოთ, ხოლო არ ვიცი, რომ ჩავალ პირველათ რა დავათვალი-ერო!

— პირველად შენი საკუთარი ჯიბე დაათვალიერე, ნახე სადგურზე ჩამოსვ-ლისას ამოჭრილი არ გქონდეს!..

## შემთხვევის ბრალია

— რა ქენი კაცო გადაურჩი „მსუბუქ კავალერიას“?

— რა თქმა უნდა! სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როდესაც მთელი დღე დაწე-სებულებაში ვიჯექ და შემთხვევით არ-სად გავსულვარ!

## მატარებელში

— თქვენი ბილეთი!

— არ მაქვს!

— მაშ პირველ სადგურზევე ჩამოგს-ვამთ!

— თქვენ რომ არ ჩამომსვათ, მეც ჩამოვალ, სწორედ იქ უნდა ჩამოვხტე!

## სასადილოში

— კაცო ეს რა ამბავია — თორმეტი მუსიკოსი გყავთ სასადილოში და სადი-ლის მომტანი კი ერთი კაცი!

— ეს იმიტომ მოქალაქევ, რომ ჩვენ კულტურულ მხარეებს უფრო მეტ ყუ-რადღებას ვაქცევთ!

## „რეჟიმ-ეკონომია“.

— ჩემს დაწესებულებაში სულ 24 კა-ცი მუშაობს.

— როგორ? მე ოთხი კაცის მეტი არ მინახავს.

— დიახ! სამაგიეროდ თვითეულს ექვს-ექვსი თანამდებობა აქვს!

## ძველი წესის მიხედვით

— რა არის კაცო შენ, რომ ყოველთ-ვის რაღაც უცნაურათ მიმართავ ხოლ-მე ჩვენს გამგეს: „თქვენო მაღალ ამხანა-გობავ“, „თქვენო ბრწყინვალ ამხანაგო-ბავ“?...

— რა ვქნა ჩემო კარგო: ის ჩვეულია ძველათ ასეთ მიმართვას, როგორც ყო-ფილი თავადი და მე კიდევ როგორც ყოფილი აზნაური!

## სოფლის ლიკსკოლაში

— დედამიწა ღერძზე ტრიალებს...

— ვინ იცის, რამოდენა ღერძია და რამდენი საპნის წასმა სჭირდება... ა. ბ.

## სწრაფი თანამშრომელი




— როგორ! მთელი დაწესებულების ანგარიში ორ საათში გააკეთეთ? რანაი-რათ მოასწარი?

— ძალიან ადვილათ! შარშანდელი ანგარიშები გადმოვწერე!

## „კმაყოფილი“

— გუშინ საღამოს ოპერის თეატრში ვიყავი! ძლიერ კმაყოფილი წამოვედი!

— რა მიდიოდა?

— ხელოვანთა მუშაკების ყრილობა!

მთავლიტი № 783. ტირაჟი 3.950 პ/ტ მე-5-ე სტამბ. გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობა.

# კომუნისტი

## დიდი პოლიტიკური გაზეთი

### საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

### ორგანო

## ხელის მოწერის პირობები

**დამატების გარეშე გაზეთი ღირება**

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

| | |
|---|---|
| 1 თვით | 1 მ. — კ. |
| 2 " | 2 " — " |
| 3 " | 2 " 90 " |
| 4 " | 3 " 85 " |
| 5 " | 4 " 80 " |
| 6 " | 5 " 75 " |

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

| | |
|---|---|
| 1 თვით | 1 მ. 30 კ. |
| 2 " | 2 " 60 " |
| 3 " | 3 " 80 " |
| 4 " | 5 " — " |
| 5 " | 6 " — " |
| 6 " | 7 " 35 " |
| 7 " | 8 " 80 " |
| 8 " | 10 " — " |

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა**

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება
ოზურგეთში — კონტრაგენტ ინწკირველთან
ახალსენაკში — კონტრაგენტ ესებუასთან
სამტრედიაში — კონტრაგენტ გოგელიასთან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
შორაპანში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში.
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან

ბორჯომ-ბალში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ იარალოვთან
ბათომში — ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ პაიჭაძესთან

**გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა**

**თბილისი. რუსთაველის პრ. № 34.**